ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 17 მაისი, 2021 №85 (8614) ფასი: 60 თეთრი

ლევან ვასაძე: „სალომე ზურაბიშვილი, სჯობს, გადადგეს“

„ერთობა, რაობა, იმედი“ მალე პოლიტიკურ პარტიად გარდაიქმნება

გვ.2

„ნიკა მელია მიხეილ სააკაშვილს ვერ ჩაანაცვლებს“

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიციამ აქცენტი არა თბილისის მერის არჩევნებზე, არამედ 43%-ზე უნდა გააკეთოს“

გვ.3

გვ.2

„ცესკოში კლანი ძლიერდება, ხარჯები იზრდება“

გურამ ჩალაგაშვილი: „საარჩევნო რეფორმით არაფერი იცვლება... დღესვე ცესკოს თავმჯდომარედ რომ დამნიშნონ, მეც ვერაფერს შევცვლი“

გიორგი ბარამიძე: „ნაცმოძრაობის პარლამენტში შესვლა პრინციპების ღალატად იქნება აღქმული“

„გაყიდულ ოპოზიციონერებთან არ ვითანამშრომლებთ... არ შესვლა კონფრონტაციას არ ნიშნავს“

გვ.3

„ოცნებას“ ბევრი საკადრო იაღლიში მოუვიდა“



გვ.4

დათო ლორთქიფანიძე: „ოპოზიციის ოპოზიციაშიც კი ხელისუფლებიდან წასული პოლიტიკოსები არიან“



საქართველოსა და უკრაინის მიღება ნატოში დაჩქარდება?

გვ.4

ISSN 1987-9385

2 გლოვოს კურიერებმა მუშაობა შეწყვიტეს

5 ტატიაშვილი, ბარბაქაძე და მუმლაძე შეიძლება ციხიდან გამოუშვან „შაქარაშვილი მათ არ უცემიათ“

5 ბათუმში მამაკაცმა ქალი მოკლა და მერე მე-19 სართულიდან გადახტა

6 ნეთანიაჰუ: „ჰამასის ლიდერები ვერსად გაგვექცევიან. ჩვენ მათ ყველგან მივაგნებთ“

„ცესკოში კლანი ძლიერდება, ხარჯები იზრდება“

გურამ ჩალაგაშვილი: „საარჩევნო რეფორმით არაფერი იცვლება... დღესვე ცესკოს თავმჯდომარედ რომ დამნიშნონ, მეც ვერაფერს შევცვლი“

იაგო ნაცვლიშვილი

მოძრაობა „დროა“ განცხადებას ავრცელებს, რომელშიც ნათქვამია, რომ ცესკოში დაგეგმილი საარჩევნო რეფორმების წინ „ქართული ოცნება“ გავლენებს ინაწილებს. ელენე ხოშტარიას მოძრაობაში ამბობენ, რომ ცესკოში ძლიერდება კლანი, კერძოდ კი მოძრაობა ცესკოს მდივნის გიორგი ჯავახიშვილის კლანის გაძლიერებაზე საუბრობს, რომელიც, „დროას“ შეფასებით, ცესკოს რეალური მმართველია. მოძრაობაში თვლიან, რომ ამით „ოცნებამ“ გამყალბებელთა კლანი გააძლიერა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სასამართლოს შემდეგ კლანი ცესკოშიც ბეტონდება და რა შენიშვნები აქვს საარჩევნო სისტემის მიმდინარე ცვლილებებთან? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გურამ ჩალაგაშვილი საუბრობს, რომელიც ცესკოს თავმჯდომარედ თავადაც მუშაობდა.

– „დროამ“ გამოაქვეყნა განცხადება, რომლის მიხედვითაც გიორგი ჯავახიშვილის გავლენები იზრდება ცესკოში. მოძრაობა კლანურ მმართველობაზე მიუთითებს. რა გამოდის, სასამართლოს შემდეგ კლანური მმართველობა ცესკოშიც ბეტონდება?

– გიორგი ჯავახიშვილს ძალიან კარგად ვიცნობ, მაგრამ ერთ კონკრეტულ ადამიანზე არ არის რამე დამოკიდებული. მე ადრეც ვთქვი, რომ ერთი ადამიანი, იგივე თამარ ჟვანია, მარტო ვერც არჩევნებს გააყალბებს და ვერც ვერაფერს გააკეთებს. ეს არის მთელი კომისია. თუ გვინდა, რომ ნორმალური არჩევნები და ნორმალური საარჩევნო კომისია მივიღოთ, სისტემა უნდა იყოს დაკომპლექტებული ისეთი ადამიანებისგან, რომელთაც იციან, არჩევნები რა არის.

2005 წელს მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ პარტიული ნიშნით არ დაგვეკომპლექტებინა კომისიები და სურვილი იყო, რომ ნორმალური არჩევნები ჩაგვეტარებინა, შესაბამისად, იმ არჩევნებს ძალიან მაღალი შეფასება აქვს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. სიმართლეს შევხედოთ თვალებში და ვთქვათ, რომ უნდა იყვნენ პარტიის წარმომადგენლებიც და პროფესიონალი ადამიანებიც, მაგრამ ეს პროფესიონალები არ უნდა იყვნენ ირიბად დაკავშირებული ხელისუფლებასთან, იქნება ეს დღევანდელი ხელისუფლება, მომავალი თუ იმის მომავალი. პარტიიდან დანიშნული ადამიანების შეცვლა პარტიას შეუძლია, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი დამოკიდებულები არიან პარტიაზე.

– იმაზე მიუთითებთ, რომ თუ პარტიის წარმომადგენელი იყიდეს, მაშინ პარტიას მისი შეცვლა უნდა შეეძლოს?

– არა, მაგას არ ვამბობ, თუმცა ესეც მნიშვნელოვანია. პარტიას დღეს აქვს უფლება, რომ შეცვალოს კომისიის წევრი. თუ ხელისუფლება ეცდება მის ყიდვას თუ დაშინებას, ამ შემთხვევაში მათ, რა თქმა უნდა, შეცვლის პარტია, მაგრამ ასევე არის მეორე პრობლემაც. თუ ადამიანი არ დაემორჩილება პარტიის დირექტივებს, მაშინ ის დაკარგავს საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას. ამიტომ ის ვერ იქნება ბოლომდე ობიექტური. მაგალითად, თუ პარტია რასაც ელოდება და მიიღებს იმის მეოთხედს, მაშინ მან არ უნდა დაუჭიროს მხარი შემაჯამებელ ოქმს. ამიტომ არის მნიშვნელოვანი პროფესიონალი ადამიანები. აქ საუბარი არ არის არც ჟვანიაზე და არც ჯავახიშვილზე, აქ საუბარია იმაზე, რომ გუნდურად გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით უნდა იყოს მიღებული. ხმათა უმრავლესობა უნდა ჰქონდეთ მათ, ვისაც შეუძლია არჩევნების ობიექტურად ჩატარება. ეს უნდა დაიწყოს ცესკოდან და უნდა ჩავიდეს ქვედა დონეზე, უნდა ჩავიდეს საოლქო კომისიების დონეზე, რომელიც არის ყველაზე მთავარი.

სამწუხაროდ, დღეს როგორც სასამართლოებისთვის არის დირექტივა, ერთპარტიულად ინიშნება. ყველა საჩივარი, ყველა განცხადება... ეს ყველაფერი გადავიდა კომისიების დაქვემდებარებაში. თავიდანვე ასე იყო გათვლილი. ეს კეთდება იმისათვის, რომ კომისიის მდივანს ექნება დიდი დრო იმისათვის, რომ ჯერ გადაწყვეტილება მიიღოს თანამოაზრეებთან ერთად და მერე გამოვიდეს საჯაროდ. რიგითი წევრებიდან ოპოზიციიდან ერთი იქნება მოადგილე, რომელსაც ერთადერთი წვდომა ექნება, რომ დაავალოს, დანარჩენი 7 წევრი კი არაუფლებამოსილი იქნება ამ შემთხვევაში. ვერაფერს ვერ გააკეთებენ და იქნება ჩვეულებრივი ბუტაფორია.

ეს ყველაფერი არ ხდება ისე, როგორც წერია დოკუმენტში. შარლ მიშელის დოკუმენტში რაც ეწერა, არავის წაუკითხავს ნახევარიც კი, მათ შორის ხელმომწერებსაც. კომისიის წევრების რაოდენობა იქნება 12/5-ზე. 12 ადამიანი იქნება სახელისუფლო, ხუთი ადამიანი, კარგ შემთხვევაში – ოპოზიცია.

– ანუ შინაარსობრივად არაფერი იცვლება?

– ქაღალდზე იცვლება მხოლოდ და მხოლოდ. სახელმწიფოს ხარჯები იზრდება და კომისიის წევრთა რაოდენობა ხდება 17. 8 ადამიანი ემატება, მათ შორის ცესკოში საკმაოდ მაღალი ანაზღაურებით მას ემატება თავისი მდივანი, მძღოლი, მანქანები... 73 კომისიაა და 3800 უბანი. 3800 გამრავლებული შვიდ თუ რვა ადამიანზე, აი, ამდენი ადამიანი ემატება. რამდენ მილიონ ლარზეა ლაპარაკი. პლუს ამას გვეუბნებიან, რომ სკოლის პედაგოგები, ბაღის აღმზრდელები და საჯარო მოხელეები ვერ მიიღებენ მონაწილეობას საარჩევნო პროცესში. საიდან აპირებენ ამ ხალხის შევსებას? სულ რამდენი ვართ დარჩენილი?!

– მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ ცესკოს ერთი მოადგილე ოპოზიციიდან იქნება და ისინი ასევე ავითარებენ რიტორიკას, რომ ჟვანიას ოპოზიციამ ბოდიში უნდა მოუხადოს. ამაზე რას იტყვით?

– ნებისმიერი ცვლილება შეეხება იმას, რომ მმართველმა გუნდმა საკუთარი პოზიცია გაამყაროს და თქვას, ასე და ასეაო. თამარ ჟვანიასაც კარგად ვიცნობ და კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ერთი თამარ ჟვანია ვერ გადაწყვეტს, გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით მიიღება. დამერწმუნეთ, ხვალ რომ გამოვიდეს ხელისუფლება და თქვას, ოპოზიციას ვაძლევთ თავმჯდომარის ადგილს და წარვადგენთ გურამ ჩალაგაშვილსო, მე მართლა მაქვს დიდი გამოცდილება, თუ ვინმემ არჩევნები იცის ამ ქვეყანაში, ერთ-ერთი მეც ვარ, მაგრამ დღეს, 17 მაისს, უკვე თავმჯდომარე რომ ვიყო და სხვა ყველაფერი დარჩეს, ვერაფერს გავხდები.

– ვერც იმ ცვლილებების შემდეგ შეცვლით ვერაფერს, რაც დღეს ხორციელდება?

– დღევანდელ მდგომარეობაზე ვსაუბრობ, როდესაც მაინცდამაინც ერთ ადამიანზე გვაქვს ატეხილი ამბავი. დღეს რომ გავხდე თავმჯდომარე და ხვალ იყოს არჩევნები, ვერაფერს ვიზამ. კი ბატონო, ბევრ რამეში შევუშლი ხელს ხელისუფლებას, მაგრამ, საბოლოო ჯამში, არჩევნების შედეგების მხრივ ვერაფერს შევცვლი. კი ბატონო, ვიტყვი, რომ ეს უბნები გადასათვლელია, საბოლოო ჯამში, გადაწყვეტილებას მიიღებენ უმრავლესობით. კი, ოპოზიციას ჰყავს წარმომადგენლები, მაგრამ საბოლოოდ ხმათა უმცირესობაში აღმოვჩნდებით, გადაწყვეტილებას ვერ მივიღებთ.

რაც შეეხება იმას, ხვალ რა იქნება, რატომ არავის გაუჩნდა კითხვა, რატომ მიიღეს ასეთი სისტემა, 9 პარტიის წარმომადგენელი და 8 პროფესიონალი? რატომ 9 პლუს 8 და არა, ვთქვათ. 9 პლუს 3 ან 5? იმიტომ რომ ზუსტად გათვალეს, იციან, რომ მაქსიმუმ 5 პარტიაა, რომელსაც ვერაფერს მოუხერხებენ. ესეც სათუოა, ჩემი აზრით, სულ სამი შეიძლება იყოს ასეთი.

ყველანი ვამბობთ, რომ არჩევნები გაყალბდა. თუ, ვთქვათ, „ლელოს“ დაუწერეს 3% და აღებული ჰქონდა 7%, თუ სხვა პარტია ამბობს, 4% რომ დაუწერეს, აღებული ჰქონდა 5%, მაშინ რატომ ჰგონიათ, რომ მე 0.6% რომ დამიწერეს, არ ავიღე 2.5%?! ისევ იქითკენ მივდივართ, რომ საბნის გადაქაჩვის პრინციპმა იმუშავა იქაც. თუ კეთილს ინებებს პარლამენტში შესული ოპოზიცია და იტყვის, მართლაც გავატაროთ საარჩევნო რეფორმა და პარტიების 9 წარმომადგენლებს არაფერში გვჭირდება 8 პროფესიონალი, 3 ადამიანი საკმარისი იქნება, თუ მათ ექნებათ მეტი ხარისხი, ვიდრე დანარჩენებს.

ლევან ვასაძე: „სალომე ზურაბიშვილი, სჯობს, გადადგეს“

„ერთობა, რაობა, იმედი“ მალე პოლიტიკურ პარტიად გარდაიქმნება

– „ერთობა, რაობა, იმედი“ მალე პოლიტიკურ პარტიად გარდაიქმნება.

ამის შესახებ მოძრაობის დამფუძნებელმა ლევან ვასაძემ გუშინ, 16 მაისს, მხარდამჭერებთან განაცხადა.

– ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმისთვის, რომ უკვე საჯარო ჭრილში დავაფუძნოთ საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთობა, რაობა, იმედი“. ეს არის ის გაერთიანება, რომელიც სულ მალე გარდაიქმნება პოლიტიკურ პარტიად და ჩვენი ხალხის მხარდაჭერით შეცვლის საქართველოში ამ გამოუვალ მდგომარეობას.

დარწმუნებული ვარ, ეს გზა, რომელსაც ახლა შევუდექით, ადვილი არ იქნება. არ იქნება ია-ვარდით მოფენილი, ჩვენ გველოდება წინ ბევრი ერთობლივი ბრძოლა, ჩვენ გველოდება წინ წინააღმდეგობები, მაგრამ მტკიცედ გვწამს, რომ ქართველი ხალხის მხარდაჭერით შევძლებთ გავარღვიოთ ეს მოჯადოებული წრე, – განაცხადა ვასაძემ.

მან პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკა გააკრიტიკა.

– მინდა მივმართო საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს და ვუთხრა, ქალბატონო სალომე, ქალბატონი, ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი ბრძანდებით და ამიტომ ყველანაირი ზრდილობისა და კორექტულობის დაცვით გავაკეთებ თქვენდამი ამ მომართვას. გვესმის, რომ იმ ფორმით, რომლითაც ამჟამად ჩვენს სახელმწიფო საპრეზიდენტო ინსტიტუტი არსებობს, თქვენ ბევრი არაფრის უფლება არ გეძლევათ, მაგრამ გვაოცებს ის, რომ იმ უფლების ფარგლებში, რომლებიც გაგაჩნიათ, არაერთხელ გადადგით ნაბიჯი, რომელიც არცხვენს ქართველი ერის ღირსებას და არცხვენს ჩვენს სახელმწიფოს.

არ ვიცი, გაძალებენ ასეთი საშინელი რაღაცების გაკეთებას, როგორიც იქნება კრიმინალების ციხიდან „უპრაგონოდ“ გამოშვება თუ სხვა გადაწყვეტილებები, რომლებზეც ახლა არ მინდა ვილაპარაკო. თუ თქვენი ნებით აკეთებთ ამას, მინდა, ერთი რჩევა მოგცეთ, რადგან საზღვარი არ უჩანს ჩვენს უბედურებას, რადგან ყველაფერი, რასაც გიბრძანებენ, როგორც ჩანს, ასრულებთ, ვიდრე კიდევ ერთი უბედურება არ დაგვმართეს, მაგალითად, არ ჩამოიყვანეს კრიმინალი მიხეილ სააკაშვილი და არ მოგვცეს ბრძანება, შეიწყალოს ის, ან მსგავსი სიგიჟე გააკეთოთ, ხომ არ სჯობს, რომ დაანახოთ ხალხს, რომ თქვენც გაქვთ ღირსება, რომელსაც ხალხი თქვენგან ელოდება და წინ აღუდგეთ ამას იმით, რომ გადადგეთ დაკავებული თანამდებობიდან და აღარ შეირცხვინოთ ასე თავი ქვეყნისა და ერის წინაშე, – განაცხადა ვასაძემ.

ირაკლი შოთაძე: „ეს ბინა ჩემი არ არის“

საქართველოს გენერალური პროკურორი ირაკლი შოთაძე „მთავარი არხის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება.

მისი თქმით, სიუჟეტის ავტორს არც კი უცდია რაიმეს გადამოწმება და ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე ამბობს, რომ ინტერნეტსივრცეში არსებული ბინის ინტერიერის სურათები არის ჩემი ბინის სურათები.

„სიუჟეტში გავიდა, რომ თითქოს ცაგარელის ქუჩაზე მდებარე ჩემი საცხოვრებელი ბინის რემონტში დახარჯული მაქვს მილიონი ლარი, ამ შემთხვევაში სიუჟეტში გასული ინფორმაციის ციტირებას მოვახდენ – „100 ათასი ლარზე მეტი მხოლოდ სამზარეულოში, შპალერი სპეციალური შეკვეთით ევროპიდან, ექსკლუზიური სარემონტო მასალები გენერალური პროკურორის რეზიდენციისთვის, საიდან მოიტანა მილიონი ლარი ევრორემონტისთვის“. ამავე სიუჟეტში გაჟღერებული ინფორმაციის დასადასტურებლად აჩვენეს ჩემთვის უცნობი საცხოვრებელი სახლის და არა ჩემი ბინის ინტერიერის სურათები (აქვე მივუთითებ ბმულს იმ ვებგვერდისა, საიდანაც აღებულია ეს სურათები როდესაც გაჟღერებული ინფორმაციის გადამოწმება საკმაოდ მარტივია, სიუჟეტის ავტორს, არც კი უცდია რაიმეს გადამოწმება და ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, ამტკიცებს, რომ ინტერნეტსივრცეში არსებული ბინის ინტერიერის სურათები არის ჩემი ბინის სურათები. საცხოვრებელი ბინა ცაგარელის ქუჩაზე, სადაც მე დღესაც ვცხოვრობ, შევიძინე 2016 წელს, იმავე წელს დავიწყე რემონტი და დავამთავრე 2017 წელს, რემონტის დროს არანაირი ექსკლუზიური მასალა ევროპიდან არ ჩამომიტანია, ყველაფერი შეძენილი მაქვს ადგილობრივ ბაზარზე და რემონტის ღირებულება მითითებული მაქვს დეკლარაციაში“, – აცხადებს ირაკლი შოთაძე.

მისივე განცხადებით, ყველაზე მთავარი არის ის, რომ სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ დაგვიკავშირდა ამ ბინის რეალური მესაკუთრე და აღმოჩნდა, რომ არსებული ბინა მდებარეობს ცაგარელის ქუჩაზე სულ სხვა მისამართზე, როცა ჩემი რეალური საცხოვრებელი ბინა მდებარეობს ცაგარელის 82 ნომერში. მოვუწოდებ ხსენებული სიუჟეტის ავტორებს, ან წარმოადგინონ მათ ეთერში გასული ინფორმაციის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, ან გამოიჩინონ თუნდაც მცირედი ჟურნალისტური ეთიკა და უარყონ მათ მიერ გავრცელებული ყალბი ინფორმაცია.

გლოვოს კურიერებმა მუშაობა შეწყვიტეს

„გლოვოს“ კურიერებს ისევ პრობლემები აქვთ. კომპანიის თანამშრომლებს ბონუსების სისტემა მოუხსნეს, რასაც კურიერები ზარალზე გაჰყავს.

კურიერების განცხადებით, მათი მუშაობა უკვე აზრს კარგავს.

გუშინ, 16 მაისს, მათ აქცია გამართეს. აქციაზე კომპანიის ხელმძღვანელი მივიდა, რომლის თქმითაც, გადაწყვეტილების მისაღებად დრო სჭირდება.

„გლოვოს“ თანამშრომლები აცხადებენ, რომ მუშაობას მხოლოდ მას შემდეგ დაიწყებენ, რაც ბონუსების სისტემა აღდგება.

ამას ემატება ის რისკი, რომელიც მათ პროფესიას ახლავს თან, საკმაოდ ხშირია უბედური შემთხვევები სამუშაო პროცესის დროს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიორგი ბარამიძე: „ნაცმოძრაობის პარლამენტში შესვლა პრინციპების ღალატად იქნება აღქმული“

„გაყიდულ ოპოზიციონერებთან არ ვითანამშრომლებთ... არშესვლა კონფრონტაციას არ ნიშნავს“

იაგო ნაცვლიშვილი

რატომ თვლის, რომ ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში არ უნდა შევიდეს? მიდის თუ არა მიხეილ სააკაშვილის აზრის წინააღმდეგ? ვის მიიჩნევს „გაყიდულებად“? რომელ ოპოზიციონერებთან აღარ ითანამშრომლებს ნაციონალური მოძრაობა და ენმ-ის პარლამენტში არშესვლა კიდევ ხომ არ ჩატეხს ხიდს ოპოზიციაში? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ბარამიძე საუბრობს.

– თქვენი პოზიცია როგორია, დღევანდელი გადმოსახედიდან უნდა შევიდეს თუ არა პარტია პარლამენტში?

– როგორც კი წამოიჭრა ეს საკითხი, მე ჩემი აზრი მაშინვე დავაფიქსირე სოციალური ქსელის საშუალებით და მას შემდეგ არაერთხელ გავაცანი საზოგადოებას ჩემი არგუმენტები იმაზე, რომ, ჩემი აზრით, შეცდომა იქნება, თუ ნაციონალური მოძრაობა ამ ე.წ. პარლამენტში შევა. ეს პარლამენტი გაყალბების საფუძველზეა შექმნილი და მას არ აქვს დიდი ნდობა. ხელისუფლებისა და ოპოზიციის როლებია შეცვლილი, ვგულისხმობ იმას, ვინ რა როლს უნდა ასრულებდეს, რადგანაც „ოცნებამ“ ოპოზიციასთან წააგო არჩევნები. ამიტომ იქ შესვლა იქნება შეცდომა და შანსების მოკლება ადგილობრივ არჩევნებზე, რაც უნდა იქცეს რეფერენდუმად ამ ხელისუფლების მშვიდობიანად გასაშვებად.

კარგად გვესმის და გვაქვს კომპეტენცია ვიცოდეთ, რას ნიშნავს საპარლამენტო ბერკეტი – საპარლამენტო ტრიბუნა, პარტიის დაფინანსება, ხელფასი, კაბინეტი, მანქანა თუ სხვა, მაგრამ ეს მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ხალხი ამ როლს გისაზღვრავს. ახლა სხვანაირად არის ვითარება.

– ამ რეალობაში, როდესაც რიგი პარტიები შევიდნენ პარლამენტში და აღარ არის ერთპარტიული პარლამენტი, გარეთ რა პერსპექტივა რჩება?

– მერე რა, რომ შევიდნენ?! შესულებს შორის სამი კატეგორიაა: ზოგი შეცდა, ზოგი გატყდა და ზოგი გაიყიდა. ამის გამო ნაციონალურმა მოძრაობამ რატომ უნდა გადაუხვიოს საღ აზრს?! მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ვამბობდით, რომ ეს პარლამენტი არალეგიტიმურია, იქ არ უნდა შევიდეთ და ახლა ამის გამო რატომ უნდა შევიდეთ, ეს გაუგებარია. ჩვენ ხომ გვაქვს ჩვენი განსჯის უნარი მათგან დამოუკიდებლად!

– პოლიტიკური რეალობა არ შეიცვალა?

– გარკვეული რეალობა შეიცვალა, მაგრამ ამის გამო პარლამენტი ლეგიტიმური ხომ არ გამხდარა! როგორი არალეგიტიმურიც იყო, ისევე დარჩა. თუ ვამბობდით, რომ პრინციპების ერთგული დავრჩებით და გაყალბებულ პარლამენტში არ შევალთ, ნაციონალური მოძრაობის პოზიციებიდან გამომდინარე, რამე შეიცვალა?!

– ახლა პარლამენტში შესვლა პრინციპების ღალატი იქნება?

– დიახ, ჩემი აზრით, ეს ასე იქნება აღქმული ჩვენი საზოგადოების მხრიდან. მერე როცა დაგვჭირდება, რომ ხალხმა მხარი დაგვიჭიროს, ცოტაა იმის შანსი, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ მხარი დაგვიჭირონ, რისი იმედიც გვაქვს და გვგონია, რომ იმაზე კიდევ მეტმა ადამიანმა უნდა დაგვიჭიროს მხარი.

– გაზომეთ მხარდამჭერების პოზიცია და უფრო მეტი არშესვლას უჭერს მხარს?

– სწორედ მაგას ვამბობ, რომ მხარდამჭერების პოზიციას უნდა დაეყრდნოს ნაციონალური მოძრაობის საბოლოო პოზიცია. შიდაპარტიულ, მეგობრულ და ურთიერთპატივისცემით გამსჭვალულ დისკუსიაში სწორედ ეს არის ჩემი პოზიცია, რომ შევინარჩუნოთ ერთიანობა და, საბოლოო ჯამში, ერთიანობა შენარჩუნებული იქნება, თუ ხალხს – ამომრჩევლებსა და მხარდამჭერებს ვკითხავთ აზრს, რა გავაკეთოთ. გზა, რომ პოლიტიკოსებმა საკუთარ თავზე აიღონ ამ საკითხის გადაწყვეტის უფლება, ზედმეტი ამპარტავნობა და ხალხის ნების გაუთვალისწინებლობაა. ეს მიგვიყვანს ჩიხამდე და განხეთქილებამდე.

– ისმის მოწოდებები დასავლეთიდან, რომ ყველაზე მსხვილი პარტია პარლამენტში უნდა იყოს. თქვენი პარტიის თავმჯდომარე ამბობს, რომ ის არ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც პარტიას საერთაშორისო იზოლაციაში მოაქცევს. რა პასუხი გექნებათ ამ ორივე საკითხზე?

– ნიკა მელიას განცხადება ძალიან სწორი გზავნილია. ჩემი არგუმენტი, თუ როგორ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, ამას უზრუნველყოფს, იმიტომ, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის მისაღებია პარტიის დემოკრატიული პრინციპებით მართვა და გამორიცხულია, მათ საყვედური უთხრან იმ პარტიას, რომელიც ეყრდნობა ამომრჩევლის აზრს. გამორიცხულია, ჩვენმა ევროპელმა და ამერიკელმა პარტნიორებმა ნაციონალურ მოძრაობას უსაყვედურონ, რატომ დაუჯერე ამომრჩეველსო.

მე მინდა, რომ არც დასავლეთმა გვისაყვედუროს და, რაც მთავარია, არც ამომრჩეველი დავაღალატოთ და მისი ნდობა დავკარგოთ. სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო, ხომ მოგეხსენებათ. სიტყვა არ უნდა გავტეხოთ და ხალხის წინაშე პირშავები არ უნდა ვიყოთ. ადგილობრივი არჩევნები არის რეფერენდუმი და, თუ გვინდა, რომ უფრო დიდ წარმატებას მივაღწიოთ, აზრი უნდა ვკითხოთ ხალხს.

– სააკაშვილმა თქვა თავის დროზე, რომ პარტია უნდა შევიდეს პარლამენტში. რა გამოდის, თქვენ, რომელიც ხშირად იზიარებთ სააკაშვილის იდეებს, ამ შემთხვევაში მის წინააღმდეგ მიდიხართ?

– რა შუაშია მის წინააღმდეგ წასვლა?! მე ჩემს პოსტშიც დავწერე, რომ დიდი პოლიტიკოსი, დიდი ლიდერი და ჩემი მეგობარია მიხეილ სააკაშვილი, მაგრამ არც პირველია და არც უკანასკნელი, როდესაც ჩვენი შეხედულებები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულია. მაგალითად, 2016 წელსაც იყო პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხი. მე მაშინაც არ გახლდით პარლამენტის წევრი, მაგრამ, იმის გამო, რომ მაშინ არჩევნები იმ დონით არ გაყალბებულა, როგორც ეს 2020-ში მოხდა და იმის გამო, რომ მაშინ ჩვენ ხალხმა ოპოზიციის როლი განგვისაზღვრა პარლამენტში, მაშინ ჩვენ ვთქვით, რომ უნდა შევიდეთ, თუმცა მიშას მიაჩნდა, რომ არ უნდა შევსულიყავით.

ის, რომ სააკაშვილისა და ჩემი აზრები არ დაემთხვა, ტრაგედია კი არ არის. ქოცების პარტიასა და ივანიშვილს რომ უყურებენ, იმიტომ ჰგონიათ ასე. წარბს რომ ასწევს ივანიშვილი, ცხვრებივით ხტუნაობენ, მაგრამ ასე არ არის ჩვენთან. ბევრი არ იჯერებდა, თორემ სულ ასე იყო და ასეა დღესაც ნაციონალურ მოძრაობაში – ვკამათობთ, მათ შორის მიშასთანაც და საბოლოო გადაწყვეტილებებს ვიღებთ. ხანდახან ისეც ხდება, რომ სხვა გადაწყვეტილება გადის იმისგან, რასაც ლიდერები იღებენ. უმრავლესობით მიიღება გადაწყვეტილებები. ამიტომ ჩვეულებრივი ამბავია.

ჩემთვის მთავარია, რომ გადაწყვეტილება არ უნდა მივიღოთ რამდენიმე ათეულმა ადამიანმა. ეს გადაწყვეტილება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ფართო ჩართულობა უნდა იყოს. პარტიის თავმჯდომარე ავირჩიეთ ელექტრონული პრაიმერისის გზით იმის გამო, რომ ყველას სცოდნოდა, ეს არ იყო კულუარული გადაწყვეტილება. ასევე უნდა გავაკეთოთ ეს. თუ მაშინ პერსონალური პრაიმერისი გაკეთდა, ახლა იდეების პრაიმერისი უნდა გავაკეთოთ.

– გაკეთდება პრაიმერისი? შეჯერდით ამაზე?

– არა, მე იმედი მაქვს, რომ პოლიტსაბჭო პრაიმერისის ჩატარებას მხარს დაუჭერს და თავის თავზე არ აიღებს პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებას. თუ ეს მოხდება, ამით განხეთქილების მუხტს გააჩენს, იმიტომ, რომ პარტიის წევრებისა და ამომრჩევლის ნაწილი იფიქრებს, კულუარულ გარიგებას ჰქონდა ადგილი.

– თუ პრაიმერისი არ ჩატარდა, ეს განხეთქილებას გამოიწვევს?

– ჩემი აზრით – კი. აუცილებლად განხეთქილება იქნება-მეთქი, ამას არ ვიტყვი, მაგრამ ამის მუხტს გააჩენს. ბევრ ადამიანს გული გაუტყდება, ბევრი ასე იფიქრებს. ამიტომ მაღალი პოლიტიკური ლეგიტიმაციის გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. ხალხია ჩვენი ძალა და, რასაც ისინი გვეუბნებიან, ის უნდა გავაკეთოთ. ეს არის პოლიტიკის ანაბანა.

– ხატია დეკანოიძემ თქვა, თუ არ შევალთ პარლამენტში, კიდევ უფრო დიდი უფსკრული იქნება პარლამენტში შესულ და გარეთ დარჩენილ ძალებს შორის და ეს აწყობს ივანიშვილსო. თქვენ არ ფიქრობთ, რომ ეს ხელს შეუწყობს ოპოზიციაში საბოლოოდ ხიდის ჩატეხას?

– მიმაჩნია, რომ არ არის აუცილებელი, ავტომატურად კონფრონტაცია იყოს ოპოზიციაში, იმის მიუხედავად, შევალთ თუ არა ამ არალეგიტიმურ პარლამენტში. ზოგიერთ პიროვნებასთან თუ პარტიასთან, რომელიც პირდაპირ გაიყიდა, ისედაც არ ვაპირებთ თანამშრომლობას.

– ვის გულისხმობთ გაყიდულებში?

– პერსონიფიცირებას ნამდვილად არ მოვახდენ. საზოგადოება თავად დაინახავს.

– გიორგი ვაშაძეს ხომ არ გულისხმობთ?

– თვითონ დაინახავს ხალხი. მე მაქვს ჩემი მკაფიო პოზიცია, მაგრამ ამ საუბარში არ არის ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი. ამიტომ, ასე იქნება თუ ისე, იმათთან მაინც არ ვაპირებთ თანამშრომლობას. თუ ვინმეს შეეშალა ან პრაგმატული მოსაზრებების გამო ასე მიაჩნია სწორად, თუ მის ამომრჩეველს ასე ერჩივნა, ეს მათი ნებაა და პატივს ვცემ მათ ამომრჩეველს. შესვლა ან არშესვლა ავტომატურად არ ნიშნავს ან კონფრონტაციას, ან მეგობრობას.

ძალიან კარგად ვიცი, რა პლუსებიც აქვს პარლამენტში შესვლას, მაგრამ მთავარი პლუსი არის ხალხი და ხალხის მხარდაჭერა. როდესაც ერთ მხარეს დგას საპარლამენტო პლუსები და მეორე მხარეს – ხალხის ნდობა, ამ ვითარებაში ხალხის მხარდაჭერაზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი. ორივე რომ იყოს ერთად, ჯობს, მაგრამ, როდესაც ან ერთია ან მეორე, უნდა აირჩიო ხალხის მხარდაჭერა.

პოლიტსაბჭო გადაწყვეტს, რა გზით მოხდება გადაწყვეტილების მიღება, პრაიმერისის გზით იქნება თუ არა.

პოლიტსაბჭოს სხდომა უახლოეს 7-10 დღეში გაიმართება.

„ნიკა მელია მიხეილ სააკაშვილს ვერ ჩაანაცვლებს“

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიციამ აქცენტი არა თბილისის მერის არჩევნებზე, არამედ 43%-ზე უნდა გააკეთოს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, ნიკა მელია პარტიის რამდენიმე წევრთან ერთად უკრაინაში იმყოფება. როგორ ფიქრობთ, მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობის უმრავლესობა პარლამენტში შესვლის მომხრეა, სააკაშვილის დასტური საჭიროა?

– პარტიის უმრავლესობამ, შესაძლოა, პარლამენტში შესვლა გადაწყვიტოს, მაგრამ მათ სააკაშვილისგან ფორმალური დასტური მაინც სჭირდებათ. სააკაშვილი იყო და რჩება ნაციონალების შეუცვლელ ლიდერად. ელექტორატი მხარს სააკაშვილს უჭერს და არა იმდენად ნაციონალურ მოძრაობას. მათი ალბათ აბსოლუტური უმრავლესობა ხმას იმ ძალას მისცემს, რომლის ლიდერიც მიხეილ სააკაშვილი იქნება. ამიტომ სწორი ნაბიჯია ნიკა მელიასგან კიევში ჩასვლა. იქიდან ჩამოსულები რომ მიიღებენ გადაწყვეტილებას, მათი მომხრეები ჩათვლიან, რომ ეს სააკაშვილის გადაწყვეტილებაა.

გარდა ამისა, კიდევ ერთი საკითხია: ბოლო პერიოდში მელიას გალიდერება დაიწყო, რაც, ასე თუ ისე, სააკაშვილის ჩაჩოჩებას ნიშნავს. ეს ეჭვები ჩნდება და პირველ რიგში ეს ეჭვები ჩნდება ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლებში.

– სააკაშვილსაც უჩნდება ეს ეჭვები?

– რასაკვირველია, არც ეს არის გამორიცხული. ამ საკითხებზეც იქნება საუბარი, გარკვევა. ახლა მელიასთვის მნიშვნელოვანია, ეს ეჭვი ან მოხსნას, ან რაღაცები გაარკვიოს მაინც.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ ნაციონალური მოძრაობის აბსოლუტური უმრავლესობა სააკაშვილს უჭერს მხარს, მაგრამ ნიკა მელია, რომელსაც არ უკავშირდება ამ პარტიის მძიმე წარსული, შეიძლება, უფრო მომგებიანი ლიდერი იყოს?

– ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლისთვის ნიკა მელია მიხეილ სააკაშვილს ვერ ჩაანაცვლებს. ეს გამორიცხული. თუმცა ამ შემთხვევაში, როდესაც მთავარი ფაქტორი მაინც სააკაშვილია, ნაციონალურ მოძრაობას, როგორც პარტიას, არ აქვს ელექტორალურად ზრდის პერსპექტივა სწორედ იმ მიზეზების გამო, რაც თქვენ აღნიშნეთ. ამ ფონზე ნიკა მელია, რა თქმა უნდა, შეიძლება, უფრო მიმზიდველი ლიდერი იყოს. თუმცა აქ კიდევ ერთი ფაქტორი შემოდის: გასაგებია, ნიკა მელია არ ასოცირდება ნაციონალური მოძრაობის მძიმე წარსულთან, მაგრამ დღევანდელი ნაციონალური მოძრაობა მაინც სამართალმემკვიდრეა იმ ნაციონალური მოძრაობისა, რომელიც იცის ხალხმა. ამიტომ მე არ ვთვლი, რომ მელიას ლიდერობითაც უფრო მრავალრიცხოვანი მხარდაჭერა ექნება ამ პარტიას. ამას გრძნობენ ის პარტიებიც, რომლებიც მაინცდამაინც არ არიან მომხრე, ნაციონალებთან ერთად შექმნან ერთობა.

– ოპოზიციის ნაწილი თვლის, რომ ადგილობრივ არჩევნებზე საერთო კანდიდატები უნდა ჰყავდეთ, მაგრამ ალბათ მაინც ძალიან რთული იქნება შეთანხმება. როგორ ფიქრობთ, რა ნაბიჯები შეიძლება და ვინ შეიძლება იყოს ოპოზიციურ ფლანგზე მომგებიანი?

– ოპოზიციურ ფლანგზე დღეს ყველაზე დიდი მხარდაჭერა ნაციონალურ მოძრაობას აქვს, თუმცა აქ დანარჩენი პარტიებისთვის მეტად საჭირბოროტო საკითხი შემოდის. ადგილობრივი არჩევნები არის ის არჩევნები, რომელშიც პარტია უფრო ყალიბდება და სტრუქტურირებული ხდება. თუ ერთიანი კანდიდატი იქნება, ცხადია, პატარა პარტიები იდენტობას დაკარგავენ, სტრუქტურირება გაუჭირდებათ.

რაც შეეხება იმას, რომ მეორე ტურში გასულ ოპოზიციურ კანდიდატს დაუჭერენ მხარს, ესეც სერიოზულ პრობლემასთან არის კავშირში. ამ შემთხვევაში ოპოზიციური ამომრჩეველი შეიძლება სულ არ მივიდეს მეორე ტურზე ან მივიდეს და საერთოდ არ დაუჭიროს მხარი საერთო კანდიდატს. ამომრჩეველი, რომელიც ოპოზიციურად არის განწყობილი, მაგრამ ნაციონალურ მოძრაობას ემიჯნება, ნიკა მელიას მხარს არ დაუჭერს.

ოპოზიციამ აქცენტი არა თბილისის მერის არჩევნებზე, არამედ 43%-ზე უნდა გააკეთოს. აქ უნდა შეიტანოს გარდატეხა. ოპოზიციის პრიორიტეტი 43% უნდა იყოს, რადგან ეს უფრო მნიშვნელოვანია ამ არჩევნებზე, ვიდრე რომელიმე ოლქის მოგება.

– როგორ ფიქრობთ, რატომ აგვიანდება გახარიას? ეს მისი სტრატეგიის ნაწილია თუ შეიძლება, საერთოდ გადაიფიქრა არჩევნებში მონაწილეობა?

– სიმართლე გითხრათ, მართლაც აგვიანდება, თუ არჩევნებში სურს მონაწილეობა. რაც უფრო გვიან დაიწყებს კამპანიას, მით უფრო ნაკლებ პროცენტს აიღებს. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ეს დაგვიანება სწორედ სტრატეგიის ნაწილი იყოს და ახლავე გეტყვით, რას ვგულისხმობ: ისევ ფაქტორი არის 43%, რომელიც უმნიშვნელოვანესია „ქართული ოცნებისთვის“. თუ გახარიამ ხმები „ქართულ ოცნებას“ უნდა წაართვას და ასეც იქნება, არ გამოვრიცხავ, რომ „ოცნებამ“ მასთან აწარმოოს მოლაპარაკებები, რომ ის იყოს თბილისის მერობის კანდიდატი პროპორციული სიის სანაცვლოდ.

– პროპორციულ ნაწილში პარტიული სია არ ჰქონდეს?

– დიახ, რათა „ქართულ ოცნებას“ ხმები არ გაუყოს. ახლა ყველა მოლოდინის რეჟიმშია. ზუსტად არავინ იცის, როგორ დალაგდება პოლიტიკური კონფიგურაცია.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

„ოცნებას“ ბევრი საკადრო იაღლიში მოუვიდა“

დათო ლორთქიფანიძე: „ოპოზიციის ოპოზიციაშიც კი ხელისუფლებიდან წასული პოლიტიკოსები არიან“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

– ბატონო დათო, ერთი მხრივ, არის არეულ-დარეული ოპოზიცია, მეორე მხრივ კი – „ქართული ოცნება“, რომლის განაყოფებიც გაჩნდნენ. გახარიას ვგულისხმობ.

– „განაყოფები“ ბრჭყალებში, რადგან გამოდის, რომ განაყოფები არიან.

– როგორ აფასებთ არსებულ პოლიტიკურ სპექტრს?

– დღეს საქართველოში მრავალწახნაგოვანი პოლიტიკური სპექტრია. ერთ მხარესაა „ქართული ოცნება“, სახელისუფლებო ძალა, მეორე მხარეს კი – ე.წ. ოპოზიცია. არის ოპოზიციის ოპოზიციაც და არიან ხელისუფლებიდან წასული ადამიანებიც, რომლებიც ახალ პოლიტიკურ სპექტრს ქმნიან. ადამიანების პოლიტიკურ გემოვნებაზეა, ვინ ვის აღიქვამს რადიკალურ ოპოზიციად, ვინ ვის აღიქვამს არსებულ ოპოზიციად. ძალიან ცოტა დროა გასული მას შემდეგ, რაც ხელისუფლების განაყოფი გაჩნდა, ვგულისხმობ გიორგი გახარიას.

გახარიას (ჯერ პარტიაც არ აქვს) საპარლამენტო ფრაქცია დავარქვათ. პოლიტიკური პარტია, ალბათ, მერე გამოჩნდება.

– გახარიას პარტია არ აქვს, მაგრამ მისი წარმომადგენლები ჩივიან, „ოცნებისაგან“ ზეწოლას განვიცდით, თანამდებობებს გვატოვებინებენო. ეს რა არის?

– თანამდებობები დატოვეს გამგებლის მოადგილეებმა. მერი და მისი მოადგილეები პოლიტიკური თანამდებობის პირები არიან. თუ მათი მსოფლმხედველობა აღარ ემთხვევა მმართველი პოლიტიკური ძალის მსოფლმხედველობას, თვითონვე უნდა დატოვონ თანამდებობა. საჯარო მოხელეებზე არ ვლაპარაკობ, რომლებიც წლების განმავლობაში მერიის სტრუქტურებში მუშაობენ.

– სუბარმა განაცხადა, ბევრი საქმეა გასაკეთებელი, ისინი კი პიარით არიან დაკავებულიო. მართალია?

– თუ ისინი მართლა დაკავებული იყვნენ გიორგი გახარიას ქებით და ჩვენს ხელისუფლებას ლანძღავდნენ, გიორგი რომ არა, აქამდე ვერ მოვიდოდით, არჩევნებს ვერ მოვიგებდითო, ბუნებრივია, ეს გუნდისთვის გამაღიზიანებელი იქნებოდა. თუ ასე არ ყოფილა და ამ ხალხს უგონებენ, სხვა საკითხია.

მე ეს ინფორმაცია არ მაქვს. უცებ მოწმენდილ ცაზე მეხი რომ გავარდება, ისე რამდენიმე მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებმა ერთ

დღეს გააკეთეს განცხადებები სამსახურიდან წასვლის შესახებ. როგორც ვიცი, მხოლოდ გორის მერმა დაადასტურა, რომ ის ესაუბრა თავის მოადგილეებს. სხვებისაგან ჯერ არ მომისმენია. ყველაფერს დრო გამოაჩენს. დრო ძალიან ცოტაა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები კარს არის მომდგარი.

– ბევრი პოლიტიკური პარტია იბრძვის.

– დიახ, ბევრი პოლიტიკური პარტიაა. კიდევ რამდენიმე ცნობადი სახე აპირებს პოლიტიკური ძალის შექმნას. არ ვიცი, სად უნდა იპოვონ ამდენი ამომრჩეველი.

– ამბობენ, რომ თუ გიორგი გახარია მკვეთრად არ დაუპირისპირდება „ოცნებასა“ და ბიძინა ივანიშვილს, ხმების მოპოვება გაუჭირდება. როგორ ფიქრობთ, მკვეთრი დაპირისპირება იქნება? გახარია ხომ ლამის გუშინ წავიდა თქვენი პარტიიდან.

– როგორც პოლიტიკოსი, ვიტყვი, თუ ოპოზიციონერი ხარ, მაშინ მმართველ პოლიტიკურ ძალას უნდა დაუპირისპირდე რადიკალურად, პრინციპების დონეზე. იმ პრობლემებში, რომლებიც შეიძლება, შენი ხედვით, შენი ხელისუფლებაში ყოფნის პირობებში არ არსებობდა, ხელისუფლება უნდა ამხილო. წინააღმდეგ შემთხვევაში რა ოპოზიცია იქნები.

– ასეთი დაპირისპირება მომავალში აუცილებლობის შემთხვევაში ხელს არ შეუშლის კოალიციის შექმნას?

– ვფიქრობ, პოლიტიკურად საკმაოდ გავიზარდეთ. არა მგონია, რომელიმე პოლიტიკური ძალის გაკეთებულმა განცხადებებმა კოალიციის შექმნის პრობლემები წარმოქმნას. პოლიტიკური ძალა იმისთვის იქმნება, რომ ამომრჩეველს თავისი გეგმა შესთავაზოს და მისი გული მოიგოს. ამომრჩევლის გულს ვერ მოიგებ, თუ გულწრფელი არ იქნები. შეიძლება, არასწორად ხედავდე, მაგრამ შენ ფიქრობდე, რომ ის პრობლემა წინა პლანზეა წამოსაწევი. თუ იმ პრობლემებზე არ ილაპარაკებ პრინციპულად, ამომრჩეველი მხარს არ დაგიჭერს.

მმართველ პოლიტიკურ ძალასთან დაპირისპირება და (თუ აუცილებელი გახდება) კოალიციის შექმნა ერთმანეთს არ გამორიცხავს. ევროპული დემოკრატია დაპირისპირებული ძალების ერთად დასხდომასა და პრობლემების გადაწყვეტასაც გულისხმობს. მთავარია, მსოფლმხედველობა არ იყოს შეუსაბამო.

– ვინ უშლიდა ხელს გიორგი გახარიას, თუ რაიმე პრობლემებს ხედავდა, ემუშავა და პრობლემები მოეგვარებინა? ბიძინა ივანიშვილი ხელს უშლიდა?

– სანამ გიორგი გახარია არ გააკეთებს პოლიტიკურ განცხადებას და პარტიას არ შექმნის, მანამდე იმაზე კომენტარის გაკეთება, ის რას ფიქრობს, არარელევანტურია. თუმცა ვიტყვი, რომ გიორგი გახარიას ჰქონდა ყველა ბერკეტი, პრობლემები გადაეწყვიტა. ის იყო ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. გახარია არ იყო ის პრემიერ-მინისტრი, რომელსაც წონა არ ჰქონდა. როდესაც გახარია ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახლდათ, მას ჰქონდა იმის ბერკეტები, თუ რამე მიუღებელი იყო, გადამჭრელი ზომები მიეღო.

თუ გახარია გამოვა და არგუმენტირებულად იტყვის, რომ ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებაში მას ვინმე ხელს უშლიდა, უნდა დაამტკიცოს, თორემ ყველას შეუძლია დაბრალება. ფაქტია, გიორგის ქართველ ამომრჩეველთან საუბარი მოუწევს.

– თქვენი პარტიიდან წასული პიროვნებები, რომლებსაც პარტიულ თუ სახელისუფლებო ვერტიკალში მაღალი თანამდებობები ეჭირათ, შემდეგ ნაცმოძრაობის გვერდით, მათთან ასოცირებული ან ალიანსში აღმოჩნდნენ, მაგალითად, უსუფაშვილი, ახვლედიანი. რატომ?

– ნაცმოძრაობასთან ასოცირებული თუ იყვნენ, არ ვიცი, მაგრამ ნაცმოძრაობის ლიდერზე მეტად თავგადაკლულები რომ აღმოჩნდნენ, ვიდრე ნაცპარტია, ფაქტია.

– რატომ? მათ დაკრულზე რატომ ცეკვავდნენ?

– ეგ კითხვა მათ უნდა დაუსვათ, მაგრამ, ვფიქრობ, მათთვის არ იყო უმნიშვნელო, პარლამენტის დეპუტატის მანდატით აღჭურვილები იქნებოდნენ თუ არა. ამ მიზნის მიღწევას ყველა პოლიტიკოსი სხვადასხვა ფორმით „ახერხებს“. ზოგი ამას ახერხებს თავისი გულწრფელი მსახურებით იმ პოლიტიკური ძალისადმი, რომელშიც არის. ზოგი ამას ახერხებს გამყიდველობით, ზოგი ამას ახერხებს ცრუ დაპირებებით. ვინ როგორ მოახერხა, საზოგადოებამ განსაჯოს.

„ქართულ ოცნებაში“ პირველივე დღეებიდან გარკვეული საკადრო პრობლემები შეიქმნა. ბევრი საკადრო იაღლიში მოუვიდა პარტიას.

– რატომ?

– არ ვიცი. რაღაც რეკომენდატორების ინსტიტუტი იყო, ვიღაცებს უწევდნენ რეკომენდაციას. ბევრი ადამიანი, ალბათ, თავიდან ჩვენთან ერთად არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოხდა, განსაკუთრებით...

– განსაკუთრებით, ნაცმოძრაობიდან პორტირებულები.

– დიახ. როდესაც კოალიციურ რეჟიმში ვიყავით და ექვსი პოლიტიკური ძალა ერთ შეთანხმებამდე უნდა მისულიყო, მაშინ იყო ასეთი რაღაცები. მე მაშინაც ვამბობდი და ახლაც ვამბობ (მადლობა იმ პოლიტიკოსებს, ლიდერებს, რომლებმაც რამდენიმე წლის შემდეგაც განაცხადეს ამის თაობაზე), რომ კობიტაცია იყო ყველაზე დიდი და სერიოზული უხერხულობა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ პოლიტიკურ ბიოგრაფიაში მოჰყვება.

– გახარია პოსტიდან ნაწყენი წავიდა?

– მას შემდეგ მე გიორგი არ მინახავს, მაგრამ, არა მგონია, აღფრთოვანებული წასულიყო. კაცი პრემიერ-მინისტრი იყო და თანამდებობიდან წავიდა. არა მგონია, ნასიამოვნები ყოფილიყო.

– თანამდებობა ვინმემ დაატოვებინა?

– როგორც ვიცი, თავისით წავიდა, გადაწყვეტილება თვითონ მიიღო.

– გიორგი არ იყო იმ კალიბრის პოლიტიკოსი, რომელზეც ასე მარტივად შეიძლებოდა ზემოქმედება. მით უფრო საინტერესოა მის მიერ გაჟღერებული პოზიციები, როდესაც ის პოლიტიკურ პარტიას შექმნის.

– ნაცმოძრაობაში მიმდინარე პროცესებს როგორ აფასებთ?

– ნაცმოძრაობაში სრული აჯაფსანდალია. თვითონ არ იციან, რას იზამენ. სრულ გაურკვევლობაში არიან. არ იციან, პარლამენტში შევლენ, ხელს მოაწერენ შეთანხმების დოკუმენტს თუ არა. შევლენ და ხელს არ მოაწერენ თუ საერთოდ არ შევლენ და ხელსაც არ მოაწერენ. ამბობენ, კონსულტაციების რეჟიმში ვართო. ტელეფონი არ ჰქონდათ? რით ვერ გაიარეს კონსულტაციები ამდენი ხნის განმავლობაში, ჩემთვის გაუგებარია.

არ ვამბობ, რომ მათი შესვლით რაიმე სიკეთე იქნება. ჩემი გადასაწყვეტი რომ ყოფილიყო, მათ ამდენი მანდატი არ უნდა მიეღოთ, მაგრამ, რაც არის, ეგ არის. ასეთი მოცემულობაა. არ ვიცი, რას იზამენ. ნაცმოძრაობაში მიმდინარე პროცესებს პოლიტიკურ ენაზე სახელი არ აქვს.

საქართველოსა და უკრაინის მიღება ნატოში დაჩქარდება?

ყოფილი მრჩეველი ჯონ ბოლტონი 2008 წლის აპრილის მდგომარეობის დაბრუნებაზე ალაპარაკდა

მარიამ მჭედლიშვილი

მსოფლიოს ყურადღება ისრაელ-პალესტინის დაპირისპირებისკენ არის მიპყრობილი. იმავდროულად მიმდინარეობს სხვა პროცესები, რომლებიც პირდაპირ ეხება საქართველოს.

ექსპერტები: „აშშ-ისთვის ამჟამად უმნიშვნელოვანესია სამხრეთი კავკასია და უკრაინა-ბელარუსი“

თბილისისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა აშშ-ის პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლის ჯონ ბოლტონის განცხადება. ბოლტონი 2018 წლის ოქტომბერში იმყოფებოდა საქართველოში. იგი ქვეყნის პრობლემებს კარგად იცნობს.

ჯონ ბოლტონმა განაცხადა, რომ საქართველოში დროა, აშშ-მ წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთის ყოფნას აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“.

მანვე მიუთითა, რომ საქართველო და უკრაინა არიან მნიშვნელოვანი სახელმწიფოები აშშ-ისთვის. ეს საშუალებას იძლევა, აღდგეს სიტუაცია, რომელიც არსებობდა 2008 წლის აპრილამდე, როცა კიევისა და თბილისის ნატოში წევრობა სერიოზულად განიხილებოდა და შესაძლებლად ითვლებოდა.

ბოლტონის თქმით, საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის დაშლის შემდეგ დაწყებული ნატოს გაფართოება არ დასრულებულა: აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში დარჩა 6 სახელმწიფო, რომლებიც იმყოფებიან „რუხ ზონაში“ რუსეთსა და ალიანსის ახალ საზღვრებს შორის. მათ შორის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია საქართველო და უკრაინა.

ბოლო დროს უკრაინის პირველი პირები, დიპლომატები თუ საზოგადო მოღვაწეები მოუწოდებენ ნატოსა და ევროკავშირს, გზა გაუხსნან უკრაინას და დააჩქარონ მისი გაწევრიანება ამ ორგანიზაციებში. ამ კონტექსტში ზოგჯერ ახსენებენ საქართველოსაც.

უკრაინა მოწოდებებით არ შემოიფარგლება. რამდენიმე დღის წინ უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ ხელი მოაწერა სახელმწიფოს უსაფრთხოების დოკუმენტს – ერთწლიან ეროვნულ პროგრამას უკრაინა-ნატოს ეგიდით. დოკუმენტი ასახავს რეფორმებს, რომლებიც საჭიროა ნატოს სრულუფლებიანი წევრობისთვის.

ერთ-ერთ მიზნად სახელდება უკრაინის ეროვნული ინტერესებისა და ეკონომიკური ზონების დაცვა ზღვაზე. დაგეგმილია საზღვაო სტრატეგიის შემუშავება.

ამის კომენტირებისას უკრაინელი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ნატომ ხელი უნდა გაუწოდოს უკრაინასა და საქართველოს.

უცხოელი ანალიტიკოსები ასკვნიან, რომ აშშ-ისთვის ამ ეტაპზე სასიცოცხლოა სამხრეთ კავკასია, ასევე უკრაინა, ბელარუსი და აზია-წყნარი ოკეანის მიმართულება, სადაც ამერიკას ფეხს აჭერს ჩინეთი.

მათი შეფასებით, ეს ფრონტი ვაშინგტონისათვის ახლო აღმოსავლეთზე წინ დგას და აშშ თავის დიპლომატიურ და სამხედრო რესურსს აქ დახარჯავს, მიუხედავად იმისა, რომ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი გაღვივებულია, სირიაში კი საპრეზიდენტო არჩევნებს (26 მაისი) დაძაბულობის ახალი ტალღა მოჰყვება.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ისრაელსა და საუდის არაბეთს არ აწყობთ აშშ-ის უყურადღებობა რეგიონის მიმართ. ამის გამო ეს ორი სახელმწიფო არ მოერიდება გამწვავებას.

შეგახსენებთ, რომ სამხრეთ კავკასიის მიმართ დასავლეთის ინტერესი რამდენიმე წელია, იმატებს. ყველა თანხმდება, რომ მთიან ყარაბაღში მომხდარის შემდეგ ძალთა ბალანსი რუსეთის მხარეს გადაიხარა. დასავლეთში მიიჩნევენ, რომ აუცილებელია გააქტიურება.

სომხეთის პრემიერის მოვალეობის შემსრულებელმა პაშინიანმა რუსეთის პრეზიდენტს ამ დღეებში სამხედრო დახმარების თხოვნით მიმართა. საუბარია აზერბაიჯანის მოსაზღვრე სიუნიკის რაიონზე. მხარეები შეთანხმდნენ აზერბაიჯანელი სამხედროების გასვლაზე. პრემიერის მოვალეობის შემსრულებლის თქმით, შეთანხმება ნაწილობრივ არის შესრულებული. ამისათვის აუცილებელი გახდა რუსეთისთვის დახმარების თხოვნა. დახმარებას, მათ შორის, სამხედროს, ითვალისწინებს 1997 წელს ხელმოწერილი ორმხრივი ხელშეკრულება და სხვა ხელშეკრულებები.

მიმდინარე მოვლენები ადასტურებს, რომ საქართველოს მიმართ ინტერესი იზრდება, რაც აისახება შიდაპოლიტიკაზეც.

ოხანაშვილი: „ოპოზიციას უნდა ჰყავდეს ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე“

„შარლ მიშელის დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებები რაც არის, „ქართული ოცნება“ რჩება ერთგული ამ შეთანხმების. საუბარია, რომ ოპოზიციურ პარტიებს უნდა ჰყავდეთ (ცესკოს თავმჯდომარის) მოადგილე, ეს იქნება გარანტირებული. მოვალეობის შემსრულებელი ვინ უნდა იყოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, უნდა იყოს პროფესიული ნიშნით შერჩეული. ეს კრიტერიუმები ისევ ძალაშია. ვფიქრობთ, დავტოვებთ ისევ ძალაში და არ იქნება ამასთან დაკავშირებით რაიმე ტიპის სპეკულაციები. დანარჩენ საკითხებს გადავიტანთ საკომიტეტო მოსმენის ფარგლებში“.

ეს განაცხადა „ქართული ოცნების“ წევრმა ანრი ოხანაშვილმა საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით „ქართული ოცნებისა“ და საპარლამენტო ოპოზიციის შეხვედრის დასრულების შემდეგ.

„ახლა არავისთან არევა არ ღირს“

პარლამენტში შესული ოპოზიცია მერობის საერთო კანდიდატზე

რა იქნება პარლამენტში შესული ოპოზიციის გეგმა მოახლოებულ თვითმმართველობის არჩევნებში? ჯერჯერობით მათ გეგმა და სტრატეგია არ აქვთ. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ მჭიდრო კოორდინაცია მნიშვნელოვანია, ნაწილისთვის კი გამარჯვების ფორმულა ინდივიდუალურ კანდიდატებშია.

„სტრატეგია აღმაშენებელში“ ამბობენ, რომ ერთიან კანდიდატზე შეჯერება ოპოზიციისთვის წამგებიანი იქნება, როგორც ამბობენ, ნიკა მელიას და ნებისმიერ კანდიდატს „პატივს სცემენ“, მაგრამ „მათ უნდა შეცვალონ რეალობა“. პარტიის წევრი პაატა მანჯგალაძე ამბობს, რომ „სტრატეგია აღმაშენებელი“ ყველაფერს გააკეთებს, რომ ჩამოაყალიბოს მესამე პოლიტიკური ცენტრი.

„სტრატეგია აღმაშენებლისგან“ განსხვავებულ პოზიციაზეა პარტია „ლელო“. როგორც საბა ბუაძე ამბობს, „მაჟორიტარი კანდიდატების კოორდინაცია მნიშვნელოვანია“. ასევე „ლელოში“ მიიჩნევენ, რომ ყველა პარტია უნდა შეეცადოს, მაქსიმალურად მიიღოს საკუთარი ამომრჩევლის მხარდაჭერა.

„არავისთან არევა არ ღირს“ – ეს „გირჩის“ პოზიციაა. იაგო ხვიჩია არ არის დარწმუნებული, რომ ერთიანი კანდიდატები მმართველ გუნდს ხმებს დააკარგვინებს.

მისი თქმით, „გირჩმა“ უნდა აიღოს მაქსიმალურად ბევრი ხმა.

ასელ აიტპაევას გაუპატიურებაში ბრალდებული მურად მეირბეკოვი ყაზახეთში დააკავეს

26 წლის ყაზახი ქალის ასელ აიტპაევას გაუპატიურებაში ბრალდებული მურად მეირბეკოვი პოლიციამ ყაზახეთში, ნურ სულთანში დააკავა.

გარდაცვლილის ოჯახის წევრების განცხადების საფუძველზე მეირბეკოვი მისსავე საცხოვრებელ სახლში 16 მაისს, დილით აიყვანეს.

მეირბეკოვს პოლიცია ადამიანებით ვაჭრობას ედავება. მას 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

საქართველოს პროკურატურამ გაუპატიურების ორი ეპიზოდის ფაქტზე ყაზახეთის მოქალაქე მ.მ.-ს ბრალდება 14 მაისს წარუდგინა. უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 28-29 აპრილს, რუსთავში, მ.მ. -მ ფიზიკური ძალადობითა და ძალადობის გამოყენების მუქარით ა.ა.-სთან არანებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი ორჯერ დაამყარა.

„მ.მ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილის ორი ეპიზოდისთვის (გაუპატიურება) დაუსწრებლად წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალდების მხარე ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

ასევე, ა.ა.-ს გაუპატიურების და თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, 2021 წლის 7 მაისს, ბრალი წარედგინა ბ.თ.-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 115-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად 8-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ტატიაშვილი, ბარბაქაძე და მუმლაძე შეიძლება ციხიდან გამოუშვან

„შაქარაშვილი მათ არ უცემიათ“

გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის საქმეზე მსჯავრდებულების ნაწილმა, შესაძლოა, ციხე საპროცესო გარიგებით დატოვოს.

„პირველების“ ინფორმაციით, პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე მოლაპარაკებები მიდის. საქმე ეხება მერსედესის მგზავრებს, რომლებსაც შაქარაშვილთან ჩხუბში მონაწილეობა არ მიუღიათ და რომლებმაც საბურთალოელების სამეგობრო სცემეს.

„პირველების“ ინფორმაციით, ნაცემი ახალგაზრდების ერთ ნაწილს ხელი მოაწერინეს შეთანხმებაზე, რომ მათ პრეტენზია არ ექნებათ, თუკი პატიმრობაში მყოფ მორაგბე ნიკა ჟვანიასა და ძიუდიოსტ გიგა ტატიაშვილს გაათავისუფლებენ. დაკავებულების ოჯახის წევრების თქმით, არც ერთი მათგანი შაქარაშვილის ცემის ეპიზოდში არ ფიგურირებს და მათთვის ხუთწლიანი სასჯელი ძალიან ბევრია.

„ტვ პირველის“ ინფორმაციით, ტატიაშვილის, ბარბაქაძისა და მუმლაძის ადვოკატებს დაზარალებულ საბურთალოელებთან მოლაპარაკებები საპროცესო შეთანხმების გარიგებასთან დაკავშირებით უკვე დაწყებული აქვთ.

მსჯავრდებულ ბარბაქაძის მამა „ტვ პირველთან“ ადასტურებს, რომ დაზარალებულებს წერილობითი თანხმობისთვის მიმართავენ. ინფორმაციას დაზარალებულების მხრიდან პრეტენზიის არქონაზე ადასტურებს ასევე ძიუდოისტ ტატიაშვილის ადვოკატი. მისი თქმით, გიორგი ქათამაძემ, კონსტანტინე ღიბრაძემ და ვახტანგ ახვლედიანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომ მათ დაკავებულებთან პრეტენზია არ აქვთ.

ციხეში შიმშილობა დაიწყო საბურთალოელების ცემის ეპიზოდის ფიგურანტმა, მორაგბე ნიკა ჟვანიამ.

ჟვანია 5-წლიანი სასჯელით უკმაყოფილოა და მეათე დღეა, შიმშილობს. მასთან ერთად პროტესტის ნიშნად შიმშილობენ ასევე თენგო ბარბაქაძე და ირაკლი მუმლაძე.

ნაძალადევში დაცხრილეს მანქანა, რომელშიც 3 პირი იჯდა

დაჭრილია მძღოლი

გუშინ, 16 მაისს, ნაძალადევში სროლა იყო. ერთ-ერთ ავტომობილში მსხდომ 3 პირს მეორე ავტომობილიდან ცეცხლი გაუხსნეს. დაჭრილია ავტომობილის მძღოლი.

შემთხვევა მანჯგალაძისა და ხუდადოვის ქუჩის კვეთაზე მოხდა.

თვითმხილველები ამბობენ, რომ სროლა დაახლოებით 5 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ინციდენტში მონაწილეობდა ავთანდილ ბილანიშვილი, იგივე კაწრო, მაგრამ, მისი მეუღლის თქმით, ბიაფერზე პასუხს სთხოვენ, ყველა საქმეში როგორ შეიძლება იყოს გარეული, ეს არის მიზანმიმართული, – განაცხადა ბილანიშვილის ცოლმა ნათია რუხაიამ.

ბილანიშვილის ადვოკატი თამარ ლანიშვილი იმ დროს სახლში იყო და შემთხვევასთან კავშირი არ ჰქონია.

– ეს არის მორიგი ზღაპარი და ტყუილი, ყველაბესაძე კი რუხაიას ვერსიას ეწინააღმდეგება და ამბობს, რომ კაწრო თბილისში საერთოდ არ იმყოფება. მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება.

27 წლის ნ.ა. ჰეროინის შეძენა-შენახვისთვის დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1994 წელს დაბადებული ნ.ა. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“. სამართალდამცველებმა ნარკოტიკული საშუალება ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვას გულისხმობს“, – წერია შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ლორს მოუქნია ჯოხი, რომელიც სადენს მოხვდა“

მარტვილში ნათია კუპრავა დენის დარტყმით დაიღუპა

მარტვილის სოფელ ლეხაინდრაოში ახალგაზრდა ქალი დენის დარტყმის შედეგად გარდაიცვალა. ინფორმაცია „ლაივპრესს“ სოფელში მერის წარმომადგენელმა იპოლიტე დანელიამ დაუდასტურა.

შემთხვევა 15 მაისს მოხდა. მიზეზი გაუმართავი ელექტროგაყვანილობაა.

– საძროხეში შედიოდა. ღორი ყოფილა შესული. ჯოხი მოიქნია, რომელიც მოხვდა კაბელს. კაბელი ჩამოვარდა და წყალში ჩავარდა. ასე მოხდა ეს საშინელი ამბავი, – განაცხადა მერის წარმომადგენელმა.

პრაიმ ტაიმის ცნობით, გარდაცვლილი ქალი 26 წლის ნათია კუპრავაა. იგი თურქეთიდან რამდენიმე კვირის წინ დაბრუნდა, შვილები დედასთან ჰყავდა დატოვებული და, ფინანსური პრობლემების მიუხედავად, მათ მონატრებას ვერ გაუძლო.

– მთელი სოფელი გლოვობს ახალგაზრდა ქალს, ტრაგედიაა სოფლის. სარეცხს ფენდა და იქვე ღორი მოუახლოვდა. მან რკინის ჯოხით ცადა საქონლის მოგერიება, სარეცხ თოკსა და ელექტროსადენს შორის მცირე იყო დაშორება და სადენს მოხვდა რკინის ჯოხი, დენმა დაარტყა და ახალგაზრდა ქალი ადგილზე გარდაიცვალა, – ამბობს მეზობელი.

შსს-მ ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 240-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით.

ბათუმში მამაკაცმა ქალი მოკლა და მერე მე-19 სართულიდან გადახტა

14 მაისს ბათუმში ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში 2 გვამი იპოვეს – გავრცელებული ინფორმაციით, თურქეთის მოქალაქე მამაკაცმა ცივი იარაღით მოკლა უკრაინის მოქალაქე ქალი, შემდეგ კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

თურქეთის მოქალაქე მამაკაცი, სავარაუდოდ, მე-19 სართულიდან გადახტა. ქალის გვამი სწორედ იმ ბინაში იპოვეს, საიდანაც მამაკაცი გადახტა.

შემთხვევა კობალაძის 8-ში დილით მოხდა.

მეზობლების ინფორმაციით, დილის 6 საათზე მე-19 სართულიდან ხმაური შემოესმათ, რის შემდეგაც კორპუსის ეზოში მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინეს. მომხდარზე გამოძიება შსს-მ 115-ე მუხლით დაიწყო.

საგამოძიებო სამსახურმა 2 კომპანიის ხელმძღვანელი პასუხისგებაში მისცა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისთვის თავის არიდების ორი ფაქტი გამოავლინა.

გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პასუხისგებაში ორი კომპანიის ხელმძღვანელი მიეცა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედი კომპანიის ხელმძღვანელები, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით, სისტემატურად ახდენდნენ შემოსავლების არასწორ დეკლარირებას და სათანადოდ არ იბეგრებოდნენ შესაბამისი გადასახადებით, რითაც თავს არიდებდნენ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადის გადახდას.

საგადასახადო შემოწმებების შედეგად, ერთ შემთხვევაში, გადამხდელს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა 514.835 ლარი (მათ შორის ძირითადი გადასახადი 317.394 ლარი), ხოლო მეორე შემთხვევაში – 298.465 ლარი (მათ შორის ძირითადი გადასახადი 196.785 ლარი).

ტარდება შესაბამისი ღონისძიებები კომპანიებზე რიცხული ქონების დაყადაღებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების გავლის შემდეგ, მიყენებული ზიანის ბიუჯეტის სასარგებლოდ იძულების წესით ამოღების მიზნით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით.

თბილისში, აღმაშენებლის ხეივანში, მამაკაცის ცხედარი იპოვეს

15 მაისს თბილისში ცხედარი იპოვეს.

გარდაცვლილი 65 წლამდე მამაკაცია, რომელსაც აღმაშენებლის ხეივანში ადგილობრივებმა შემთხვევით მაშინ მიაგნეს, როცა ბალახს თიბავდნენ. დაღუპულის ვინაობა უცნობია. ამ დროისთვის ასევე უცნობია, თუ რა გახდა მისი სიკვდილის მიზეზი. წინასწარი ინფორმაციით, გარდაცვლილს სხეულზე დაზიანება არ აღენიშნება.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო.

ქუთაისში გაზით დატვირთული მანქანა აფეთქებას გადაურჩა

გუშინ, 16 მაისს, სამაშველო სამსახურის ინფორმაციით, ქუთაისში ბუნებრივი აირით დატვირთული მანქანის აალების საფრთხე დროულად აღკვეთეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შემოვიდა ინფორმაცია, რომ ქუთაისში, სიმონ გუგუნავას ქუჩაზე, სატვირთო ავტომობილზე განთავსებული ცისტერნიდან ჟონავდა დიდი რაოდენობით ბუნებრივი აირი და საჭირო იყო მეხანძრე-მაშველების დახმარება.

შეტყობინების მიღებიდან უმოკლეს დროში მისამართზე გამოცხადდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები. მეხანძრე-მაშველებმა უსაფრთხოების მიზნით მოქალაქეებს დაატოვებინეს მიმდებარე ტერიტორია. შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიციამ ტერიტორია უსაფრთხოების ლენტით შემოსაზღვრა და შესაბამისმა ძალებმა დაიწყეს მუშაობა.

მეხანძრე-მაშველების ოპერატიული რეაგირების შედეგად ცისტერნიდან ბუნებრივი აირის გამოდინება დროულად იქნა შეჩერებული და აალების საფრთხე აღკვეთილი.

ამ დროისთვის პრობლემა უკვე სრულად არის აღმოფხვრილი.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. ადგილზე მუშაობდა 3 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი“, – ნათქვამია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

რუსთავთან ტრაილერი მიკროავტობუსს დაეჯახა

მძღოლი დაიღუპა

15 მაისს რუსთავი-ლილოს დამაკავშირებელ გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევას 40 წლამდე მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ერთმანეთს საპირისპირო მიმართულებით მოძრავი ტრაილერი და „ფორდის“ მარკის მიკროავტობუსი შეეჯახა.

გარდაცვლილია მიკროავტობუსის მძღოლი.

ავტობანზე გაჩერებულ მანქანას სხვა მანქანა დაეჯახა

14 მაისს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის იგოეთი-გორის მონაკვეთზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა.

თბილისიდან ბორჯომის მიმართულებით მოძრავ ავტომობილში მყოფმა მცირეწლოვანმა მგზავრობისას თავი შეუძლოდ იგრძნო, რის გამოც ბავშვი მამამ ავტომანქანიდან გადაიყვანა, როდესაც ავტომაგისტრალზე მოძრავი სხვა ავტომობილი გზის ნაპირზე გაჩერებულ მანქანას შეეჯახა.

ავარიის შედეგად დაშავებული 3 ადამიანი სასწრაფო დახმარების ჯგუფებმა კლინიკა „გორმედში“ გადაიყვანეს. ჩატარებული კვლევების საფუძველზე 1 პაციენტს ამბულატორიული დახმარება გაეწია და მან კლინიკა დატოვა, ორი კი, მამა-შვილი, 35 წლის მამაკაცი და 13 წლის გოგონა, სტაციონარში მოათავსეს. კლინიკის ნეიროქირურგ კახა ფაცინაშვილის ინფორმაციით, პაციენტების მდგომარეობა სტაბილურია და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მომხდარ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.

ახმეტაში ტოიოტა არხში გადავარდა

15 მაისს ახმეტაში, სოფელ საკობიანოში, ალაზნის სარწყავ არხში ტოიოტას მარკის ავტომობილი გადავარდა.

შემთხვევის დროს მანქანაში 3 ადამიანი იმყოფებოდა, 6 წლის ბავშვმა და მძღოლმა წყლიდან ამოსვლა შეძლეს, 65 წლამდე ქალი კი დაიხრჩო.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ პოლიცია, სამაშველო და სასწრაფო დახმარების ჯგუფები.

საგარეჯოში ოპელი მიკროავტობუსს დაეჯახა

1 ადამიანი დაიღუპა

15 მაისს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ავარიას 1 ადამიანი ემსხვერპლა. სოფელ ჩაილურის მიმდებარედ „ოპელის“ მარკის მანქანა და მიკროავტობუსი ერთმანეთს შეეჯახა.

ადგილზე გარდაიცვალა ერთი ადამიანი, რამდენიმე კი დაშავდა. ისინი სხეულის მრავლობითი დაზიანებებით ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

ნეთანიაჰუ: „ჰამასის ლიდერები ვერსად გაგვექცევიან. ჩვენ მათ ყველგან მივაგნებთ“

ისრაელში გრძელდება ბრძოლები ჰამასის წინააღმდეგ.

14 მაისს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუ განაცხადა, რომ ჰამასის ლიდერები მძიმე საფასურს გადაიხდიან ისრაელზე თავდასხმისთვის და ეს პროცესი ჯერ არ დამთავრებულა.

– მე ვთქვი, რომ ჰამასსა და სხვა ტერორისტულ ჯგუფებს მნიშვნელოვან დარტყმას მივაყენებდით და ასეც ვიქცევით. ბოლო დღეს ჩვენ იერიში მივიტანეთ მიწისქვეშა სამიზნეებზე.

ჰამასი ფიქრობდა, რომ იქ დაიმალებოდა, მაგრამ ვერ დაიმალა. ჰამასის ლიდერები ფიქრობდნენ, რომ ხელიდან დაგვისხლტებოდნენ, მაგრამ ვერ გაიქცნენ. ჩვენ მათ ყველგან მივაგნებთ და ასე გავაგრძელებთ.

ისინი თავს დაგვესხნენ ჩვენს დღესასწაულზე, ისინი თავს დაესხნენ ჩვენს დედაქალაქს. მათ რაკეტები დაუშინეს ჩვენს ქალაქებს. ისინი იხდიან და კვლავაც გადაიხდიან მძიმე საფასურს ამისთვის. ეს ჯერ არ დამთავრებულა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ უსაფრთხოება აღვადგინოთ ჩვენს ქალაქებში და მოქალაქეებისთვის, – განაცხადა ნეთანიაჰუმ ვიდეომიმართვისას.

მან მადლობა გადაუხადა აშშ-ის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის ლიდერებს და ყველა სხვას, ვინც მხარდაჭერა შესთავაზა.

– ისინი ემხრობიან ჩვენს ბუნებრივ და აშკარა უფლებას, რომ დავიცვათ თავი იმ ტერორისტებისგან, რომლებიც თავს ესხმიან მშვიდობიან მოსახლეობას და მათ უკან იმალებიან, – აღნიშნა ნეთანიაჰუმ.

14 მაისს ისრაელის თავდაცვის ძალებმა ჩრდილოეთ ღაზაში ჰამასის ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების ობიექტი გაანადგურეს. ამავე ტერიტორიაზე ასევე განადგურებულია ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების გამშვები ორი პუნქტი. თავდასხმა ისრაელის ავიაციამ განახორციელა.

გარდა ამისა, 40-წუთიანი შეტევის შედეგად ისრაელმა ჰამასის სარგებლობაში არსებული გრძელი გვირაბების ქსელი გაანადგურა და ჰამასის ათობით მებრძოლი მოკლა.

ეს ვითარების გამწვავების შემდეგ ისრაელის მხრიდან განხორციელებული ყველაზე მსხვილი შეტევა იყო. ისრაელის თვითმფრინავებმა სულ 450 ბომბი ჩამოაგდეს.

15 მაისს ისრაელმა ღაზის სექტორში ჰამასის ლიდერის სახლი დაბომბა. შემთხვევის შედეგად, სულ მცირე, 4 პალესტინელი დაიღუპა.

პარალელურად კი ჰამასმა თელ-ავივის მიმართულებით რაკეტები გაუშვა. ავიაიერიშის დროს ათამდე ადამიანი იმ დროს დაშავდა, როცა ისინი თავშესაფარში გადასვლას ცდილობდნენ.

კონფლიქტის მიმდინარეობისას ღაზის სექტორში სულ 149 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის 41 ბავშვი, ისრაელში კი დაპირისპირებას 10 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის 2 ბავშვი.

16 მაისს ღაზის სექტორიდან ისრაელის ქალაქ აშკელონის მიმართულებით რამდენიმე რაკეტა გაუშვეს, რის შედეგადაც რამდენიმე შენობა დაზიანდა.

ღაზის სექტორიდან ისრაელის საზღვართან ახლოს მდებარე შენობებზე მორიგი თავდასხმა განხორციელდა, რომლის დროსაც ახალგაზრდობის ცენტრის შენობა მნიშვნელოვნად დაზიანდა.

აფეთქების მომენტში შენობა ცარიელი იყო და შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია. აფეთქებამ ელექტროგადამცემი ხაზებიც დააზიანა, რის გამოც რამდენიმე დასახლებას ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა.

ანდრეი პიონტკოვსკი: „ჰამასს მეგობრები მოსკოვში ჰყავს!“

ისრაელში განვითარებულ მოვლენებს აშშ-ში მცხოვრები რუსი ექსპერტი ანდრეი პიონტკოვსკი გამოეხმაურა. მან განაცხადა, რომ ჰამასი რუსეთის მხარდაჭერით სარგებლობს.

– ჰამასს მოსკოვში ჰყავს მეგობრები, – ამტკიცებს პოლიტოლოგი.

პიონტკოვსკი ხაზს უსვამს, რომ ჰამასი რუსული რაკეტებით არის შეიარაღებული. რაც შეეხება ვითარების ამჟამინდელ გამწვავებას, პიონტკოვსკის აზრით, ამის უკან კრემლი დგას.

– ბაიდენთან შეხვედრის წინ პუტინს სურს, ფსონები ასწიოს! – მიიჩნევს ექსპერტი.

პიონტკოვსკის აზრით, ახლო აღმოსავლეთში შეტაკებები კიდევ ცოტა ხანს გაგრძელდება, ანუ მანამ, სანამ ისრაელი ჰამასის მთელ სამხედრო ინფრასტრუქტურას არ გაანადგურებს.

კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინების 1.43 მილიარდზე მეტი დოზაა გამოყენებული

კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მსოფლიოს 176 ქვეყანაში მიმდინარეობს და ამ დროისთვის გლობალურად ვაქცინების 1.43 მილიარდზე მეტი დოზაა გამოყენებული, რაც პლანეტის მოსახლეობის 9.4%-ის სრულად ვაქცინირებისთვის არის საკმარისი.

მსოფლიოში ვაქცინაცია ყოველდღიურად საშუალოდ 23.2 მილიონ ადამიანს უტარდება.

გამოყენებული ვაქცინების რაოდენობით მსოფლიოში ჩინეთი ლიდერობს, სადაც 380 მილიონზე მეტი დოზაა გახარჯული. 270 მილიონი დოზაა გამოყენებული აშშ-ში, 195 მილიონი – ევროკავშირში, 182 მილიონი – ინდოეთში. ყველაზე მეტი მოქალაქე პროცენტულად სეიშელის კუნძულებზეა აცრილი, სადაც ვაქცინის ორივე დოზა მოსახლეობის 63.9%-ს აქვს გაკეთებული. მას ისრაელი მოჰყვება, სადაც ორივე დოზით მოქალაქეთა 56.3% აიცრა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

უზარმაზარმა ალიგატორმა მეთევზე აიძულა, გაქცეულიყო

ამერიკის ფლორიდის შტატში მდინარის ნაპირზე მდგომი მეთევზე ალიგატორმა აიძულა თევზაობისთვის თავი დაენებებინა და გაქცეულიყო.

8 მაისს საღამოს, 22 წლის ტომი ლი ევერგლეიდსის ეროვნულ პარკში თევზაობდა. მოულოდნელად წყლის სიღრმიდან უზარმაზარი ალიგატორის თავი გამოჩნდა.

მამაკაცმა გადაწყვიტა სასწრაფოდ გასცლოდა სანაპიროს. მისი გაქცევა ვიდეოზე იქნა გადაღებული. მასზე ჩანს, თუ როგორ მიცურდა ნაპირთან მინიმუმ სამმეტრიანი რეპტილია და მამაკაცს გამოეკიდა.

– ღმერთო ჩემო, იესო, უფრო მეტი სიფრთხილეა საჭირო, – ამბობს ლი. ის ვიწრო ბილიკით გარბის, მაგრამ წაიბორძიკებს და ეცემა. ალიგატორი მისკენ მიემართება.

– როგორც ჩანს, აქ ჩემი თევზაობა დასრულდა, – დაამატა ამერიკელმა, როდესაც უსაფრთხო მანძილით დაშორდა რეპტილიას და თავი სამშვიდობოს დაიგულა. ალიგატორი მალევე დაბრუნდა წყალში, თუმცა ლიმ გადაწყვიტა, თევზაობას აღარ დაბრუნებოდა.

მამაკაცი ანომალიურად დიდ ზვიგენს პირისპირ შეეჩეხა



ამერიკის ფლორიდის შტატში მყვინთავი პირისპირ შეეჩეხა უზარმაზარ ნაცრისფერ ხარ-ზვიგენს.

55 წლის მყვინთავი და ფოტოგრაფი ჯონი მური ფრიდაივინგით (წყალქვეშ ყვინთვა სუნთქვის შეკავებით) იყო დაკავებული ქალაქ იუპიტერის სანაპირო წყლებში და ნაცრისფერ ხარ-ზვიგენებს უთვალთვალებდა, როდესაც ანომალიურად დიდ ზვიგენს გადააწყდა.

– დიდი ალბათობით, ის მაკედ იყო და ყოველთვის კარგად იკვებებოდა, – იხუმრა ამერიკელმა მყვინთავმა.

მური თვლის, რომ ზვიგენმა დიდი წონა ადრე გაზაფხულზე წვრილი თევზების მოზღვავების ხარჯზე დააგროვა.

– ის დომინანტი ზვიგენია, რომელიც თავდაჯერებულად მოცურავდა ჩემკენ მთელი ყვინთვის განმავლობაში, – აღნიშნა მურმა. მან მოახერხა, უზარმაზარი ზვიგენი სხვადასხვა რაკურსიდან გადაეღო.

სიგარეტისთვის თავის დასანებებლად მამაკაცმა თავი დაიპატიმრა

თურქეთის მკვიდრმა სპეციალური გალია დაამზადა იმისთვის, რომ სიგარეტის მოწევას თავი დაანებოს.

იბრაჰიმ იუსელმა მოწევაზე თავის დანებების ორიგინალური საშუალება მოიფიქრა. იმისთვის, რომ მავნე ჩვევისგან განთავისუფლებულიყო, მან სპეციალური ჩაფხუტი დაწნა 40 მეტრი სიგრძის სპილენძის მავთულისგან.

იუსელის თქმით, ის 20 წლის განმავლობაში დღეში ორ კოლოფ სიგარეტს ეწეოდა. თუმცა, მწეველი მამის კიბოთი გარდაცვალების შემდეგ გადაწყვიტა, ამ მავნე ჩვევაზე უარი ეთქვა.

ტრადიციული მეთოდებით მოწევისთვის თავის დანებება თურქს არ გამოსდიოდა და მაშინ მან გადაწყვიტა რადიკალური ნაბიჯები გადაედგა, საკუთარი თავი თავისივე გამოგონებულ და დამზადებულ გალიაში ჩაკეტა. უჩვეულო გამოგონებას იუსელმა საფუძვლად მოტოციკლისტის ჩაფხუტი დაუდო. თავიდან გალიის მოხსნა მას არ შეუძლია, ამიტომ, ვინაიდან ყოველ დილით, სამსახურში წასვლის წინ, ის მოწყობილობის საკეტის გასაღებს ოჯახის წევრებს აძლევს.

იუსელს ცოლმა მხარი დაუჭირა, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან მეუღლის ამ გამოგონებამ გააოგნა.

მძარცველი შეეცადა, კომპანია წყლის პისტოლეტით გაეძარცვა

ჰონკონგში ორმა მამაკაცმა კომპანია Promise-ის განყოფილების წყლის პისტოლეტით გაძარცვა სცადა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 27 წლის უმუშევარი და მისი 30 წლის თანამზრახველი ფინანსური დაწესებულების შენობაში შევიდნენ და მათთვის 25,7 მილიონი დოლარის გადაცემა მოითხოვეს. იქ მყოფთა დაშინების მიზნით ერთ-ერთმა მათგანმა წყლის პისტოლეტი ამოიღო.

კომპანიის თანამშრომლებმა განგაშის სიგნალის ღილაკით ისარგებლეს, შემდეგ კი მიხვდნენ, რომ მძარცველებს სათამაშო იარაღი ეჭირათ. ხანმოკლე საუბრის შემდეგ არ შემდგარი მძარცველები გაიქცნენ.

გარკვეული დროის შემდეგ ერთ-ერთი მათგანი დაბრუნდა. ამჯერად მან ძარცვისთვის სხვა იარაღი, საწერკალამი შეარჩია.

– ის ჩვენ თანამშრომელს დახლის მეორე მხრიდან დაემუქრა, კალამი მიუშვირა და უბრძანა, რომ პოლიცია არ გამოეძახა, – განაცხადა ერთ-ერთ ადგილობრივ გამოცემასთან საუბარში კომპანიის თანამშრომელმა.

მალე შემთხვევის ადგილზე პოლიციელები მივიდნენ და ეჭვმიტანილი დააკავეს. პოლიციის წარმომადგენელის თქმით, აღნიშნული ინციდენტის შედეგად არაფერი დაკარგულა და არც არავინ დაშავებულა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაკავებულს ფსიქიკური პრობლემები არ აქვს, თუმცა ის შესაძლოა მაინც გადაეგზავნოს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოკვლევაზე. მისი თანამზრახველის ძებნა გრძელდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მენტორი შვიდი — სპრეი ტუბი

გრიპის, პლევრიტის, ალერგიისა და გაციებისას ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად შექმნილია ანტიალერგიული სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება „მენტორი 7“. დაფასოებულია სპრეი ტუბებში.

მიღების წესი: კარგად გათავისუფლდეს ცხვირის არხები გამონადენისაგან, წამალი შევისხუროთ 2-3-ჯერ დღე-ღამის განმავლობაში. წამლის მიღების შემდეგ უმჯობესდება სუნთქვა, მცირდება და თანდათან წყდება გამონადენი ცხვირიდან.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღდგენა იწყება

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრ თეა წულუკიანის ინიციატივით შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღდგენა იწყება.

ამის შესახებ მინისტრმა მუზეუმში გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა:

– კულტურის სამინისტროში გადავწყვიტეთ, შევეჭიდოთ დიდ საშვილიშვილო საქმეს, რომელშიც, იმედი გვაქვს, ჩვენს საზოგადოებასთან ერთად წარმატებას მივაღწევთ. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღდგენა იწყება. მრავალი წელია, ეს მუზეუმი აღარ არსებობს. ის დაკეტილია. არადა, ამ მუზეუმში თავის დროზე ჯამში 140 ათასამდე უნიკალური ექსპონატი იყო დაცული. პირველი ამოცანა ფონდების აღრიცხვა, დადარება და იმის დადგენა იქნება, თუ რა ჩაჰბარდა იმ სამუშაო ჯგუფს, რომელიც მუზეუმის აღდგენის სამოქმედო გეგმაზე იმუშავებს.

გამოცემულია 2021 წლის 19 აპრილის ბრძანება, რომლის თანახმადაც, ეროვნული მუზეუმის ბაზაზე ყალიბდება 4 მუზეუმი/მუზეუმთა ჯგუფი: 1. შალვა ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა და სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი; 2. სპორტის მუზეუმი; 3. გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი; 4. სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი, რომელიც ასევე მოიცავს ყველა დანარჩენ მუზეუმს.

ეროვნული მუზეუმის მმართველი ორგანო კი გახდება ამ მუზეუმთა/მუზეუმთა ჯგუფების დირექტორთა 4-კაციანი საბჭო. დირექტორატის საქმიანობას კოორდინაციას ეროვნული მუზეუმის ამჟამინდელი გენერალური დირექტორი გაუწევს, თუმცა ზემოხსენებული 4 მუზეუმის/მუზეუმთა ჯგუფის ხელმძღვანელებს მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფონდების, კოლექციებისა და საკადრო რესურსის მართვა დამოუკიდებლად შეეძლებათ.

ხელოვნების მუზეუმის აღსადგენად ძალიან დიდი ადამიანური და ფინანსური ძალისხმევა იქნება საჭირო. ჩვენ არ ვიცით და გამოსარკვევია, თუ რა მდგომარეობაშია გაერთიანებული საქართველოს სიმბოლო – ხახულის ღვთისმშობლის სამკარედი ხატი, წილკნის ღვთისმშობლის ხატი, ანჩის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, ზარზმის ღვთისმშობლის ხატი და სხვა ჩვენი ქვეყნის კულტურული იდენტობისათვის ეს უმნიშვნელოვანესი სიწმინდეები. ჩვენ უკვე მივაღწიეთ შეთანხმებას იუნესკოსთან და ივნისამდე ჩვენს ქვეყანას ეწევა სამი უცხოელი ექსპერტი, რომლებიც ქართველ ექსპერტებთან ერთად შეაფასებენ ამ ხატების მდგომარეობას და გასცემენ პასუხს ისეთ კითხვებს, როგორებიცაა: შეიძლება თუ არა მათთან შეხება და მათი გადაადგილება ისე, რომ ხატები არ ჩამოიშალოს ან სხვაგვარად არ დაზიანდეს; არის თუ არა კოროზიის პროცესი შორს წასული და, თუ არის, როგორი და რა მეთოდით მოპყრობის საშუალება გვეძლევა ამ ხატებთან; პარალელურად, მიმდინარეობს ტენდერი, რომლის შედეგადაც შალვა ამირანაშვილის მუზეუმის შენობის მდგრადობის სიღრმისეული ექსპერტიზა ჩატარდება.

მოცემული პროცესებისა და სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად წარმოგიდგენთ სამკაციან ჯგუფს გია მარსაგიშვილის, ნელი კობიაშვილისა და ნიკა ახალბედაშვილი შემადგენლობით. ნიკა ახალბედაშვილი იუსტიციის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელია, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს წარმატებით ხელმძღვანელობდა; ნელი კობიაშვილი ცნობილი ჟურნალისტი და ნიკო ფიროსმანის მკვლევარია, რომლის დამსახურებაც განუზომელია ფიროსმანის ერთ-ერთი ნახატის მიკვლევასა და მისი ბიოგრაფიის უცნობი დეტალების უტყუარად დადგენის საქმეში; გია მარსაგიშვილი ღვაწლმოსილი მეცნიერია, ხელოვნების მუზეუმის ერთგული თანამშრომელი ბოლო 26 წლის განმავლობაში.

დღევანდელ დღეს კი ჩვენ ვუძღვნით ქალბატონ ელენე კავლელაშვილს, ხშირად დაჩაგრულს, მაგრამ მაინც მარტოდ მამაცად მებრძოლს, რომელიც წლების განმავლობაში საგანძურს საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე იცავდა და რომელიც გარდაცვალების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა თამარ მეფის ორდენით დააჯილდოვა. ის განისვენებს წმინდა ადგილას, მცხეთაში, საქართველოს დიდი პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბითაძე ლებრონს აფარებს, შენგელიას გუნდს პრობლემები აქვს

მიმდინარე სეზონში ინდიანა პეისერსი მეორედ შეხვდა ლეიკერსს და გოგა ბითაძემ მეორედ დააფარა ლიგის თუ საუკეთესოს არა, ერთ-ერთ საუკეთესო ლებრონ ჯეიმსს. საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრმა ამ მატჩში რეკორდულად ბევრი სათამაშო დრო – 30 წუთი მიიღო, რაც შედეგიანად გამოიყენა.

სამწუხარო ისაა, რომ პეისერსი ამჯერადაც დამარცხდა ლეიკერსთან – 115:122. ქართველმა ცენტრმა 10 ქულას, 7 მოხსნას, 1 პასსა და 4 დაფარებას მოუყარა თავი.

ინდიანამ პირველი მეოთხედი რვა ქულით წააგო – 28:36. მეორე და მესამე მეოთხედები ფრედ დასრულდა, ხოლო ბოლო მეოთხედი ინდიანამ ერთი ქულით მოიგო. მატჩის მვპ ლეიკერსელი ენტონი დევისი იყო, რომელმაც 28 ქულა ჩააგდო, ლებრონ ჯეიმსმა კი 24 ქულა მიითვალა.

გოგას გუნდი აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-8 ადგილზეა. ინდიანა რეგულარული სეზონის ბოლო მატჩს ტორონტოს წინააღმდეგ გამართავს. მოსკოვის ცსკას დიდი ჯაფა დაადგა, ვითიბი ლიგის ნახევარფინალში რომ გასულიყო. ნიჟნი ნოვგოროდმა არმიელებს ჯერ სერია გაუთანაბრა, ხოლო მე-3, გადამწყვეტ მატჩში ბოლომდე ებრძოლა და შეხვედრა მხოლოდ 4 ქულით – 75:79 დათმო.

თორნიკე შენგელიამ 27 წუთი ითამაშა, რა დროშიც 12 ქულა და 3 მოხსნა დააგროვა. ქართველმა კალათბურთელმა 7-დან 4 ორქულიანი და 10-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. თორნიკემ ვერც ერთი სამქულიანი ვერ გამოიყენა.

მატჩი დაძაბულად წარიმართა და ნიჟნი ნოვგოროდი ბოლო პერიოდის წინ 3 ქულით იგებდა, თუმცა იტუდისის გუნდმა მეოთხე პერიოდი 7 ქულით მოიგო და ლიგის ნახევარფინალში ითამაშებს, სადაც მათი მეტოქე ზენიტი იქნება.

მადრიდის რეალში ზიდანს რაული შეცვლის

ესპანური მედიის ინფორმაციით, ზინედინ ზიდანმა მადრიდის რეალიდან წასვლა გადაწყვიტა.

ასევე ესპანური მედიის ცნობით, მადრიდული გუნდის მთავარი მწვრთნელი ესპანეთის ნაკრებისა და რეალის ყოფილი ფეხბურთელი რაულ გონსალეს ბლანკო გახდება.

სადღეისოდ, რაული უმთავრეს კანდიდატად განიხილება, რომ რეალის თავკაცის პოსტზე ზინედინ ზიდანი ჩაანაცვლოს. მართალია, „სამეფო კლუბის“ ხელმძღვანელები სხვა ვარიანტებსაც განიხილავენ, მათ შორის იოაჰიმ ლიოვსა და მასიმილიანო ალეგრის, მაგრამ რაული ფავორიტია.

რაულმა სამწვრთნელო კარიერა 2018 წელს დაიწყო, როდესაც რეალის ასაკობრივ გუნდს ჩაუდგა სათავეში, ხოლო 2019 წლიდან მეორე გუნდის, კასტილიას მწვრთნელია, რომელსაც 2020 წელს ახალგაზრდული ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა.

შედეგები

15 მაისი

ფეხბურთი

ინგლისი. ჰექმიეჩლიგა

ბარნლი-ლიდსი 0:4
საუთჰემპტონი-ფულემი 3:1
ბრაიტონი-ვესტ ჰემი 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	36	26	5	5	76-29	83
2.მანჩესტერი	36	20	10	6	70-41	70
3.ლესტერი	36	20	6	10	65-44	66
4.ჩელსი	36	18	10	8	55-33	64
5.ლივერპული	35	17	9	9	61-41	60
6.ვესტ ჰემი	36	17	8	11	56-46	59
7.ტოტენჰემი	35	16	8	11	61-41	56
8.ევერტონი	35	16	8	11	46-42	56
9.არსენალი	36	16	7	13	50-38	55
10.ლიდსი	36	16	5	15	57-53	53
11.ასტონ ვილა	34	14	6	14	49-41	48
12.ვულვზი	35	12	9	14	35-47	45
13.საუთჰემპტონი	36	12	7	17	47-63	43
14.კრ.პალასი	35	11	8	16	37-59	41
15.ბარნლი	36	10	9	17	33-51	39
16.ნიუკასლი	36	10	9	17	43-62	39
17.ბრაიტონი	36	8	14	14	37-42	38
18.ფულემი	36	5	12	19	26-50	27
19.ვესტ ბრომვიჩი	35	5	11	19	32-68	26
20.შეფილდი	35	5	2	28	18-62	17

ინგლისი. თასი

ფინალი

ჩელსი-ლესტერი 0:1

გერმანია. ბუნდესლიგა

არმინია-ჰოფენჰაიმი 1:1
აუგსბურგი-ვერდერი 2:0
ლევერკუზენი-უნიონი 1:1
გლადბახი-შტუტგარტი 1:2
ჰერტა-კიოლნი 0:0
ფრაიბურგი-ბაიერნი 2:2
შალკე-აიტრახტი 4:3

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	33	23	6	4	94-42	75
2.ლაიფციგი	32	19	7	6	57-28	64
3.ვოლფსბურგი	32	17	9	6	57-32	60
4.დორტმუნდი	32	18	4	10	69-44	58
5.აინტრახტი	33	15	12	6	66-52	57
6.ლევერკუზენი	33	14	10	9	52-36	52
7.უნიონი	33	11	14	8	48-42	47
8.გლადბახი	33	12	10	11	60-54	46
9.შტუტგარტი	33	12	9	12	56-53	45
10.ფრაიბურგი	33	12	9	12	51-49	45
11.ჰოფენჰაიმი	33	10	10	13	50-53	40
12.აუგსბურგი	33	10	6	17	34-49	36
13.მაინცი	32	9	9	14	35-51	36
14.ჰერტა	33	8	11	14	40-50	35
15.არმინია	33	8	8	17	24-52	32
16.ვერდერი	33	7	10	16	34-53	31
17.კიოლნი	33	7	9	17	33-60	30
18.შალკე	33	3	7	23	25-85	16

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

კასტელონი-პონფერადინა 0:2
ლუგო-მირანდესი 2:1
ალმერია-ალბასეტე 1:1
ლას პალმასი-სარაგოსა 0:2

იტალია. სერია ა

ჯენოა-ატალანტა 3:4
სპეცია-ტორინო 4:1
იუვენტუსი-ინტერი 3:2
რომა-ლაციო 2:0

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	37	27	7	3	84-34	88
2.ატალანტა	37	23	9	5	90-45	78
3.მილანი	36	23	6	7	72-41	75
4.იუვენტუსი	37	22	9	6	73-37	75
5.ნაპოლი	36	23	4	9	83-40	73
6.ლაციო	36	21	4	12	61-53	67
7.რომა	37	18	7	12	66-56	61
8.სასუოლო	36	15	11	10	59-55	56
9.სამპდორია	36	13	7	16	48-54	46
10.ვერონა	36	11	10	15	43-45	43
11.ბოლონია	36	10	10	16	48-59	40
12.უდინეზე	36	10	10	16	41-52	40
13.ფიორენტინა	36	9	12	15	47-57	39
14.ჯენოა	37	9	12	16	46-58	39
15.სპეცია	37	9	11	17	50-70	38
16.კალიარი	36	9	9	18	43-58	36
17.ტორინო	36	7	14	15	49-68	35
18.ბენევენტო	36	7	10	19	38-73	31
19.კროტონე	36	6	3	27	44-91	21
20.პარმა	36	3	11	22	38-77	20

საფრანგეთი. ლიგა 2

ლე ავრი-ტრუა 3:2
გრენობლი-როდეზი 1:0
დიუნკერკი-ტულუზა 3:3
კაენი-კლერმონი 2:1
ნანსი-ამიენი 2:2
ნიორი-გენგამი 0:2
პო-ვალანსიენი 4:3
სოშო-ოსერი 2:3
პარიზი-შამბლი 3:0
შატორუ-აიაჩო 0:0

ჰოხტგაღია. ჰიმეიხა ლიგა

ბოავიშტა-პორტიმონენშე 1:0
ფარენსე-ტონდელა 1:0
ბენფიკა-სპორტინგი 4:3
რიუ ავე-პორტუ 0:3

ავსტია. ბუნდესლიგა

აუსტრია-სტ.პოლენი 2:1
ალტახი-რიდი 3:0
ჰარტბერგი-ადმირა 2:0

შოტლანდია. ჰემიეხიდა

რეინჯერსი-აბერდინი 4:0
სტ.ჯონსონი-ლივინგსტონი 0:0
ჰიბერნიანი-სელტიკი 0:0

ბელგია. ა დივიზიონი

ანდერლეხტი-გენკი 1:2

თურქეთი. სუპერლიგა

ანკარაგიუჯიუ-ალანია 0:1
ანთალია-ქონია 0:0
რიზე-ბაშაქშეჰირი 0:2
სივასი-ქაშიმფაშა 2:1
ქარაგუმრუქი-დენიზლი 5:1
ჰატაი-გაზიანთები 0:1
გალათასარაი-მალათია 3:1
გიოზთეფე-ბეშიქთაში 1:2
ქაისერი-ფენერბახჩე 1:2
ტრაბზონი-გენჩლერი 2:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

აპოლონი-ლამია 0:1
ატრომიტოსი-ვოლოსი 1:0
ლარისა-იანინა 2:0
ოფი-პანეთოლიკოსი 2:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

ოპავა-სიგმა 1:2
ბანიკი-ზლინი 4:2
პრჟიბრჟამი-იაბლონეცი 1:0
სლოვაკეკო-ბოჰემიანსი 1905 ..... 1:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ბაზელი-ციურიხი 4:0
ვადუცი-სერვეტი 1:3
ლუგანო-სიონი 3:1
სტ.გალენი-ლოზანა 5:0
იანგ ბოიზი-ლუცერნი 5:2

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

გიორგი მიქაუტაძე: „იმედი გვაქვს, რომ ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე მოვხვდებით“

საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი გიორგი მიქაუტაძე მომავალი სეზონიდან ფრანგულ მეცს დაუბრუნდება და შანსი ექნება, თავი ევროპის ერთ-ერთ ძლიერ ლიგაში გამოიჩინოს. ცხადია, ლიგა 1-ში პირველივე წელს ისეთ სეზონს არავინ ელოდება, როგორც ეს ბელგიურ სერენში გააკეთა.

შეგახსენებთ, 20 წლის მიქაუტაძემ დიდი როლი ითამაშა, რომ სერენი ბელგიის მე-2 დივიზიონიდან ელიტაში აღზევდა. ჩვენებური სეზონის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

მიქაუტაძეს ვრცელი ინტერვიუ ბელგიურმა მედიამ ჩამოართვა.

გიორგი მიქაუტაძე:

– ბევერენთან ფლიე ოფის მატჩის შემდეგ, თავს გართობის უფლება მივეცით. მუსიკა იყო, საჭმელი და სასმელებიც. სახლში დილის 5 საათზე მივედი, დანარჩენებმა კი გააგრძელეს. სმით მხოლოდ წყალს ვსვამ. არადა, ლიეჟში ლუდი ძალიან უყვართ. ძალიან მხიარული ხალხია, ერთმანეთს გვერდში უდგანან, ერთი ოჯახივით არიან. ჩვენი წარმატების ერთ-ერთი საიდუმლოც ესეც იყო. მე-2 ლიგაში რომ აღმოვჩნდით, არავინ გვიცნობდა და ისიც არ გვესმოდა, რეალურად რა შეგვეძლო და უცბად ამდენს მივაღწიეთ. აქცენტი ბურთის კონტროლზე გავაკეთეთ და ამან წარმატება მოგვიტანა.

ქართველი თავდამსხმელი ფიზიკურად არ გამოირჩევა, მაგრამ ორთაბრძოლებში კარგად გამოიყურებოდა. მთავარი პლუსი კი ბურთთან ურთიერთობა იყო.

– გუნდი ბურთს ბევრს ათამაშებდა და ეს სტილი ჩემთვისაც მისაღები იყო. ბევრი გოლი? შემიძლია ვთქვა, რომ გოლის გატანა დნმ-ში მაქვს. ყოველთვის ბევრი გამქონდა. კარში დარტყმაზე მამასთან ერთად ბევრს ვმუშაობდი. ბავშვობაში რამდენი გოლი მაქვს გატანილი, ვერ გეტყვით. ჩემთვის მთავარი იყო, ნებისმიერი ხერხით გამეტანა – თავით, მუხლით, ქუსლით. როდესაც გოლის ავტორებში შენს გვარს ხედავ, ეს, ძალიან მაგარია. ვაღიარებ, რომ ცოტა ეგოისტი ვარ, თუმცა – მხოლოდ მოედანზე, ცხოვრებაში ასე არაა. მოგების შემდეგ სიმღერა მინდება. იმ ემოციებს, რაც ამ დროს გასახდელშია ხოლმე, ვერაფერი შეედრება. ფეხბურთის სილამაზე სწორედ ესაა. ძალიან ვწუხვარ, რომ ეს წარმატება ქომაგებთან ერთად ვერ ვიზეიმეთ. ტრიბუნებიდან მათი სიმღერების მოსმენა დიდებული იქნებოდა.

გიორგი საფრანგეთის ქალაქ ლიონშია დაბადებული, ამიტომ მისი სახელი გამოითქმის ასე – ჟორჟ. ამის გამო მეტსახელიც შეარქვეს.

– ყველა ჟორჟინიოს მეძახის. ალბათ მიხვდებით, რომ ეს ბრაზილიური ფეხბურთის სიყვარულიდან მოდის. ასე მიცნობენ მეგობრები და მეზობლებიც. ახლა, თუ ვიტყვი, რომ ჟორჟი მქვია, გაოცებითაც კი მიყურებენ ანაც ჰგონიათ, რომ ვხუმრობ.

მიქაუტაძემ კარგი სეზონი რომ ჩაატარა, ეს მწვრთნელის დამსახურებაც არის. ქართველი ფეხბურთელი ემილიო ფერერას მადლობელია.

– მჯეროდა, რომ ბევრი გოლის გატანა შემეძლო, მაგრამ გარკვეული პერიოდი ჩამივარდა. ეს ორჯერ მოხდა – როდესაც წითელი ბარათი მივიღე და ტრავმაც მაწუხებდა. სეზონი სამ მატჩში 6 გოლით დავიწყე, მერე კი დეინცესთან კარგად არ გამოვიყურებოდი და მწვრთნელმაც არ დაახანა – ხომ არ გინდა, მომდევნო კვირას სათადარიგოთა სკამზე იყო? ფერერას უნდოდა, მოდუნების საშუალება არ მოეცა. მწვრთნელი ვარჯიშებზე ბევრს ყვირის, მაგრამ, უნდა იცოდეთ, რომ ყველაფერს თქვენი წინსვლისთვის აკეთებს.

როგორც გითხარით, გიორგი ლიონში, ქართულ ოჯახში გაიზარდა და სანაკრებო კარიერაზეც ოცნებობდა. როდესაც საქართველოს ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ვილი სანიოლმა მას შვედეთთან, ესპანეთთან და საბერძნეთთან მატჩებისთვის უხმო, ერთი წამითაც არ დაფიქრებულა.

– ჩემი ფესვები საქართველოშია. იქ ნათესავებიც მყავს. ქართველები მხიარული ხალხი ვართ. გართობა და ჭამა გვიყვარს. ერთია, საჭმელი მძიმე და ცხიმიანია... საქართველოს ნაკრებში რომ გამომიძახეს, ყველას გაუხარდა. პირველი მატჩი ზლატან იბრაჰიმოვიჩის შვედეთთან მქონდა, შემდეგ კი ტრავმა მივიღე და ესპანეთთან ვერ ვითამაშე. არადა, მოედანზე სერხიო რამოსი და ტიაგო ალკანტარა იყვნენ. დაუჯერებელია, მინდორზე გადიხარ და იმ ფეხბურთელებს ეთამაშები, რომელთაც მთელი ბავშვობა ტელევიზორში უყურებდი. ზლატანი მართლაც ფენომენალურია და იმიჯს არ ღალატობს. მთელი მატჩის დროს გვეჩხუბებოდა და ცალკე მსაჯს ურჩევდა საქმეს. ალბათ, ესეც გამოცდილების ნაწილია. მატჩის მერე მისთვის მაისურის გასვლა არ მიცდია. სადებიუტო შეხვედრიდან ყველაზე ძვირფასი შენი მაისურია. ის ჩემს მშობლებთანაა ლიონში. რა იქნება მომავალში? იმედი გვაქვს, რომ ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე მოვხვდებით. ამ ევროსთან ახლოს ვიყავით, თუმცა გადამწყვეტი მატჩი ჩრდილოეთ მაკედონიასთან წავაგეთ. არა უშავს, ჩვენს შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ.

ქართველ თავდამსხმელს ჩემოდანი უკვე ჩალაგებული აქვს და გზას საფრანგეთის მიმართულებით ადგას.

– ეს დაგეგმილი იყო. ახალ კონტრაქტს მოვაწერე ხელი და მწვრთნელმა ფრედრიკ ანტონეტიმ პირველი გუნდის განაცხადში შემიყვანა. მისგან არანაირი გარანტია არ მიმიღია, მაგრამ საკუთარი თავის მჯერა. თუკი იმას გავაკეთებ, რაც შემიძლია და ბევრს ვიშრომებ, ყველაფერი კარგად იქნება. სხვა საქმეა, რომ აქაურობის მიტოვება ძალიან მიმძიმს. ბევერენთან მატჩის მერე ავტობუსში ამის შესახებ იმ ბიჭებს ვესაუბრე, რომლებიც ასევე მეცის კუთვნილება არიან. ისეთი შეგრძნება გვაქვს, რომ აქ სულ ცოტა ხნის ჩამოვედით, გუნდი კი უკვე პირველი დივიზიონის წევრია. საოცარი თავგადასავალი იყო! სერენს ვერასდროს დავიწყებ. ის ჩემი მეორე ოჯახივით იყო.

ძიუდოისტები მსოფლიო ჩემპიონატისთვის დაირაზმნენ

6-12 ივნისს უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი ძიუდოში მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს.

ვაჟთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლაშა გუჯეჯიანი 9-კაციან კვოტას სრულად იყენებს, ხოლო ქალთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ გია თენაძეს კვლავაც ნაცნობი ხუთეული მიჰყავს ანუ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯამში 14-კაციანი გუნდით გამოვალთ.

სიაში არ არიან ევროპის შარშანდელი და წლევანდელი ჩემპიონები – ტატო გრიგალაშვილი (81) და ლაშა ბექაური (90), აგრეთვე ევროპის ორგზისა და მსოფლიოს ჩემპიონი გურამ თუშიშვილი (+100). როგორც ჩანს, ნაკრების მწვრთნელი მათ ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის ამზადებს.

უნდა ვთქვათ ისიც, რომ სიაში ჯერ კიდევ შესაძლებელია ცვლილებების შეტანა.

სადღეისოდ შემადგენლობა ასე გამოიყურება.

ვაჟები: ლუხუმ ჩხვიანი, თემურ ნოზაძე (ორივე 60კგ); ვაჟა მარგველაშვილი (66); ლაშა შავდათუაშვილი (73); ლუკა მაისურაძე (81); ბექა ღვინიაშვილი (90); ვარლამ ლიპარტელიანი, ილია სულამანიძე (ორივე 100); გელა ზაალიშვილი (+100).

ქალები: ტატიანა ლევიცკა-შუკვანი, მარიამ ჯანაშვილი (ორივე 52); ეთერ ლიპარტელიანი (57); მარიამ ჭანტურია (70); სოფიო სომხიშვილი (+78).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 2. ძველებური სასუნთქი თამბაქო; 3. ქალაქი ესპანეთში, სადაც იმართება კორიდის სეზონის გახსნის საზეიმო ცერემონიალი; 4. ქართველი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი; 8. შამპანურის შემქმნელად მიჩნეული ბენედიქტელი ბერი; 9. ისტორიული ციხე-ქალაქი ჰერეთში; 11. მადრიდის „რეალის“ ფრანგი ფეხბურთელი; 12. მომღერალთა გუნდის ძველი სახელწოდება; 14. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 16. მომავალი მუშაობის, მოღვაწეობის გეგმა; 17. უმაღლესი მწვერვალი ალპებში; 19. ბოშათა წინამძღოლი; 21. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა.

თარაზულად: 5. ეგეოსის ზღვისპირა ნავსადგური საბერძნეთში; 6. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 7. დიდი შხამიანი ობობა; 10. მადნის, ქვიშის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 13. ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი ქართველი მსახიობი მამაკაცი; 15. ნაყინის დასამზადებელი აპარატი; 18. ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის ქორწინების შთამომავალი სამხრეთ ამერიკაში; 20. პიპინაშვილის საბავშვო მხატვრული ფილმი; 22. იტალიური ყველი; 23. უმაღლესი პილოტაჟის ერთ-ერთი ფიგურა; 24. ფრანგული საავტომობილო კომპანია.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჯოკერი; 2. წოტი; 3. ანთოლოგია; 4. ლოლუა; 5. ვერსაჩე; 8. გაზეთი; 9. კალანდაძე; 12. ხუცესი; 14. ნამაზი; 16. ამადუ.

თარაზულად: 1. ჯვრისწერა; 6. ანტიგონე; 7. კეტგუტი; 9. კესონი; 10. ლადა; 11. ვექსილი; 13. კანოე; 15. კუბიცა; 17. ჰარლემი; 18. ჟენევა; 19. გრიზლი; 20. ლუტეცია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბუსოლი; 2. ავოკადო; 3. კემბრიჯი; 4. ბიჭვინთა; 8. ამაშუკელი; 9. დუბლიკატი; 11. გუდვილი; 12. მესა; 14. იდეა; 16. კაპილარი; 17. რიგოლეტო; 19. მექისე; 21. კობრა.

თარაზულად: 5. რეფლექსი; 6. კომერცია; 7. კალანდაძე; 10. წითელი; 13. რაბათი; 15. ისტვუდი; 18. ხარება; 20. ბოტეგა; 22. ფოქსტროტი; 23. პროგრესი; 24. ტრავოლტა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 მაისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ
დოლარი
— 3.4186

ევრო
— 4.1392

დიდი ბრიტანეთის
გირვანქა სტერლინგი
— 4.8110

100 რუსული
რუბლი
— 4.6170

ამინდის პროგნოზი 17 მაისისათვის

18 მაისიდან

ჯემალ ქარჩხაძე

ანტონიო და დავითი

რომანის მოქმედების ადგილია შუა საუკუნეების საქართველო, ხოლო მთხრობელი – იტალიელი მოგზაური, რომელიც ევროპელ მისიონერებთან ერთად საქართველოში ჩამოდის.
„ანტონიო და დავითი“ მაღალი ემოციური მუხტის მქონე დაძაბული დრამაა.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



ხავი შემდეგ კვირას ბარსელონას ესტუმრება

ბარსელონის ლეგენდა ხავი ერნანდესი შემდეგ კვირაში ბარსელონაში ჩავა და, როგორც ესპანური პრესა იუწყება, შესაძლოა, მან გუნდთან მოლაპარაკებებიც დაიწყოს.

ბოლო პერიოდში ხშირად იწერება იმის შესახებ, რომ ბარსელონა კუმანს გაათავისუფლებს და მის მაგივრად მთავარი მწვრთნელი ხავი გახდება.

თვითონ ხავი ამ ინფორმაციას არ ადასტურებს, თუმცა ჯერჯერობით არც უარყოფს.

ბრუნო ფერნანდეში: „ყოველდღიურად ვმუშაობ, რომ უკეთესი გავხდე“

მანჩესტერ იუნაიტედის პორტუგალიელმა ნახევარმცველმა ბრუნო ფერნანდეშმა ერთ-ერთ ინტერვიუში თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ყოველდღიურად მუშაობს, რათა, როგორც ფეხბურთელმა, პროგრესს მიაღწიოს:

– მიხარია, როდესაც მაქებენ, მაგრამ ვიცი, რომ ეს ჩემი მაქსიმუმი არ არის. ვარჯიშებზე თავს არ ვზოგავ იმისთვის, რომ უკეთესი გავხდე და ყველას ვანახო ჩემი შესაძლებლობები. იმედი მაქვს, მანჩესტერში დიდხანს დავრჩები და ტიტულებს მოვიგებ.

ხუან კუადრადო: „იუვენტუსს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა შეუძლია“

იუვენტუსის კოლუმბიელმა ნახევარმცველმა ხუან კუადრადომ იუვენტუსის ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსებზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს ამის გაკეთება შეუძლია, თუმცა ამისთვის მაქსიმალური კონცენტრაცია იქნება საჭირო:

– დარჩენილი შეხვედრები უნდა მოვიგოთ და მაშინ ჩემპიონთა ლიგაში თამაში გარანტირებული გვექნება. თუ ასე არ მოხდა, მხოლოდ ჩვენი ბრალი იქნება. წელს საკმარისად ბევრი შეცდომა დავუშვით და მათი გამეორების უფლება არ გვაქვს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

17 მაისისათვის

ვერძი – გაწონასწორებული, მშვიდი დღეა. თამამად გარისკეთ. წარმატება არ დააყოვნებს. **კურო** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ქალებს პლანეტა ვენერა გიღიმით. ინტიმურ სფეროში იმარჯვებთ. **ტყუპები** – აქტიურ დასვენებას დღეს არაფერი სჯობს. შეგიძლიათ ასევე მოაწესრიგოთ საქმიანი ქაღალდები. **კირჩხიბი** – მიუხედავად სირთულეებისა, ყოველგვარ დაბრკოლებას მალე გადალახავთ. სასურველ მიზანს აუცილებლად მიაღწევთ. **ლომი** – თქვენი ტალანტი შეუმჩნეველი არ დარჩება. ახალი იდეების რეალიზება არ გაგიჭირდებათ. **ქალწული** – ჰარმონიული დღეა. ძველ მეგობრებთან შეხვედრა გაგახალისებთ. ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია. **სასწორი** – ეს დღე ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატარეთ. დღის ნეგატიური ტენდენციების დაძლევაში თავშეკავებულობა და ზომიერება დაგეხმარებათ. **ღრიანკალი** – საქმიანი მოლაპარაკებებისათვის ეს დღე ზედგამოჭრილია. თქვენი ინტერესები არ დაზარალდება. **მშვილდოსანი** – საქმეს პრაქტიკული კუთხით მიუდექით. თქვენი ენერგია რაციონალურად გამოიყენეთ. **თხის რქა** – პრობლემების დაძლევაში ძველი მეგობრები დაგეხმარებიან. მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით. **მერწყული** – ჯანმრთელობას დიდი ყურადღება დაუთმეთ. ერიდეთ თავყრილობებს. ბავშვებს უმეთვალყურეოდ ნუ დატოვებთ. **თევზები** – საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოვლენილი ნეგატივი პირად ცხოვრებაზეც აისახება. მოსალოდნელია ძველი კავშირების აღდგენა.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ცოლი ქმარს ეუბნება:
– რამდენჯერ უნდა გასწავლო, რომ წვენია, როდესაც აწერია 100 პროცენტი, სასმელი, რომელსაც აწერია 50-დან 50 პროცენტამდე, ხოლო ნექტარს აწერია 40 პროცენტი.
– მერე, მეც სულ მაგას არ ვამტკიცებ, რომ არაყი ნექტარია?!

•••

ბავშვი ტელევიზორში მულტფილმს უყურებს და გაიგონა ფრაზა: „სიყვარული მაგიჟებს“, შემდეგ მამას მიუბრუნდა და ეკითხება:
– მამიკო, შენ როგორც კი დედიკო დაინახე, მაშინვე შეიშალე ჭკუიდან თუ, რომ დაქორწინდით, მერე?

•••

ექიმი-სექსოპათოლოგი პაციენტ ქალს ეკითხება:
– ქალბატონო, საკუთარი ხასიათის გარდა, სხვა რაიმე კონტრაცეპტივებითაც სარგებლობთ?

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:
– მარტოხელასავით გამოიყურები.
– რას გულისხმობ?
– მეტისმეტად მოვლილი და ბედნიერი ჩანხარ.

•••

ქმარი ცოლს ეკითხება:
– ძვირფასო, პრეზერვატივით ღალატი ხომ არ არის?
– ჰო და არც მაყუჩიანითაა მკვლელობა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„ვოისის“ გამარჯვებული მაგდა ივანიშვილი გახდა

მუსიკალური შოუს „ვოისის“ გამარჯვებული სტეფანეს გუნდის წევრი მაგდა ივანიშვილი გახდა. გახარებულმა მწვრთნელმა ხალხის რჩეული ჰაერში აიტაცა.

შოუს ფინალში რეკორდული რაოდენობის ხმა – 1.039.760 ხმა დაგროვდა და ხმების ლიდერი სწორედ მაგდა აღმოჩნდა. მან ფინალში ფრედი მერკურის ცნობილი ჰიტი „ბოჰემური რაფსოდია“ შეასრულა:

– პირველ რიგში, უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მანანა მორჩილაძეს, პროექტის სულსა და გულს და ჩემს უდიდეს სიყვარულს. ძალიან დიდი მადლობა სტეფანე მღებრიშვილს, შენ იმსახურებდი გამარჯვებას. მადლობა, რომ ჩვენზე ადრე მოდიოდი რეპეტიციაზე, ჩვენ მაგივრად ნერვიულობდი, გვისმენდი და ჩვენს აზრს ყოველთვის ითვალისწინებდი!

მადლობა ყველა ფინალისტს, ბავშვებო, უზომოდ მიყვარხართ და უდიდესი მადლობა გულწრფელი ემოციებისთვის! ჩემთვის უდიდესი პატივი იყო ნიკოლოზ რაჭველის, ნიაზ დიასამიძისა და საღიოს გაცნობა და მათთან ურთიერთობა.

უდიდესზე უდიდესი მადლობა ჩემს კახეთს! ჩემს მეგობრებს, ნათესავებს, გულშემატკივრებს, ბენდის წევრებს, რომლებიც დღე-ღამის განმავლობაში შეუჩერებლად მირეკავდნენ. იმხელა სიყვარული ვიგრძენი, მართლა არ ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადოთ – მადლობა, მადლობა, მადლობა!

სტეფანე მღებრიშვილი:

– დიდი მადლობა თითოეულ ადამიანს, ვინც მხარი დაგვიჭირა! მადლობა პირველი არხისა და ნოვა ფროდაქშენის მთელ გუნდს! ძალიან მაგარი სეზონი იყო და ჩვენთვის გამარჯვებით დასრულდა! რეკორდული ხმების, მილიონზე მეტი ხმა იყო, 25% გამარჯვებულმა მაგდა ივანიშვილმა აიღო, მეორე ადგილზე ჩემი გუნდის წევრი თეკლა წვერიკმაზაშვილი გავიდა ხმების 19%! ჯამში ჩემმა გუნდმა საერთო ხმების 48% ავიღეთ! მადლობა! მადლობა და კიდევ ერთხელ მადლობა!

ბერტა ხაფავა 80 წლისაა

მსახიობი ბერტა ხაფავა იუბილარია. მას 80 წელი შეუსრულდა. საქართველოს დამსახურებულ არტისტს იუბილე მშობლიურმა მოზარდ მაყურებელთა თეატრმა მიულოცა.

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში მსახიობი 1969 წლიდან მოღვაწეობს და ახლაც მისი ერთ-ერთი წამყვანი მსახიობია. მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში განხორციელებული მრავალრიცხოვანი როლებიდან რთულია რომელიმეს გამოყოფა, თუმცა თავად მსახიობისთვის მაინც გამორჩეულად საყვარელი პერსონაჟი მერი პოპინსია. ბერტა ხაფავას ხშირად ეპატიჟებოდნენ სხვადასხვა თეატრში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია იუბილარი ხელოვანის მიერ შესრულებული კინოროლები. მათ შორისაა ანიკო ფილმიდან „სიყვარული ყველას უნდა“, მართა ფილმიდან „ზოგი ჭირი მარგებელია“, ჭორიკანა ქალი „ნატვრის ხიდან“...

ბერტა ხაფავას მოზარდ მაყურებელთა თეატრის წინ ვარსკვლავიც გაუხსნეს. მსახიობს ხელოვნების ქურუმის წოდება მიენიჭა.

ირინა ბაირამაშვილს მეორე ბიჭი შეეძინა



მომღერალი ირინა ბაირამაშვილი მეორე ბიჭის დედა გახდა. მას და მის მეუღლეს მიკა ღაღაშვილს პატარა სანი შეეძინათ. პატარა ივანე ბოკერიას სახელობის ჰოსპიტალში დაიბადა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

– დაიბადა მეორე დედას მზე – სანი ღაღაშვილი. ღმერთო და სამყაროვ, მადლობა. მადლობა გოგა ახვლედიანსა და მის მედპერსონალს, – დაწერა სოციალურ ქსელში მომღერალმა და უამრავი მილოცვა და დადებითი სურვილებიც მიიღო.

წყვილს უფროსი ბიჭი, დანი ჰყავს, რომელიც სულ მალე 5 წლის გახდება.

მიშა გომიაშვილს პანდემიასთან დაკავშირებული კითხვები აქვს



მსახიობ მიშა გომიაშვილს პანდემიასთან დაკავშირებული კითხვები აქვს, თუმცა ერთ-ერთი მათგანი განსაკუთრებულად აწუხებს:

– პანდემიიდან გამომდინარე რეგულაციების გამო ფინანსურ კოლაფსში აღმოჩენილმა რამდენმა ადამიანმა მოიკლა თავი ან ფინანსურ კრიზისში აღმოჩენილი ინფარქტით გარდაცვლილი რამდენი ადამიანი გვყავს, ითვლის ვინმე?

საზოგადოება კახი კავსაძის სახელობის ქუჩის გახსნას ითხოვს



ქართველი საზოგადოება შესაბამისი უწყებებისგან ითხოვს, გაიხსნას კახი კავსაძის სახელობის ქუჩა თბილისში.

ინიციატივას ინტერნეტში აქტიურად განიხილავენ. ამ იდეას ათასობით ადამიანი უჭერს მხარს. ისინი აცხადებენ, რომ კახი კავსაძე ნამდვილად არის ის ხელოვანი, რომელმაც ყველაფერი საუკეთესო დაიმსახურა.

ხატია ბუნიათიშვილი კარტიეს სარეკლამო ფოტოსესიაში გადაიღეს

ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი მსოფლიოში ცნობილი ბრენდის კარტიეს სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობს.

ხატია კარტიეს სახეა და მის ძვირფას სამკაულს უწევს რეკლამირებას. პიანისტმა ბრენდის ახალ სარეკლამო ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა და მის ულამაზეს ყელსაბამებს გაუწია პოპულარიზაცია.

ინტერნეტში ხატიას ფოტოების გამოჩენას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. როგორც ქართველმა, ასევე უცხოელმა ინტერნეტმომხმარებლებმა პიანისტის მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ცოცხალი ორგანიზმის აგებულების მარტივი ერთეული; 2. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 3. წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მისი დამდები მხარეების ვალდებულებებს; 4. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ეკლესია ქუთაისში; 8. ქალაქი შვეიცარიაში, სადაც განთავსებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეზიდენცია; 9. ფიფას პრეზიდენტი; 12. ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 14. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი ქათმისებრთა ოჯახის დიდი ფრინველი; 16. მონასტერი ხარაგაულის რაიონში.

თარაზულად: 1. კლდეში ნაკვეთი ქალაქი შიდა ქართლში; 6. უცხოური ვალუტის ფასის დადგენა ბირჟაზე; 7. ცნობების გავრცელება რაიმეს შესახებ მისი პოპულარიზაციის მიზნით; 9. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 10. ჩეხური მოტოციკლეტი; 11. ფრანგული ბულდოგი; 13. ხიდი, ნიუ იორკის სიმბოლო; 15. უკრაინელი ესტრადის მომღერალი ქალი; 17. ქართული ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტი; 18. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 19. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 20. ლოგიკური ჩინური სამაგიდო სათამაშო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა